მენორა

გამოდის 1993 წლის მარტიდან

2000 წლის მარტიდან გამოდის თვეში ორჯერ

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:

WWW.opentext.ge/menora

გადმოგვაფინე შუქი შენი სახისა, უფალო!
ფსალმუნი 4:7

ებრაული გაზეთი საქართველოში **MENORA JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA**	**"מנורה"** **עיתון יהודי בגורגיה**	**„МЕНОРА“** **ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ**

თებერვალი
(შვატი)
1-15
№3 (243)
(5767 წელი)
2007 წელი
ფასი 50 თეთრი

מנורה

ტუ-ბიშვატი

ხეების გამოღვიძების დღესასწაული







მრავალს დაესწარით!

„თუ დაგივიწყო, იერუშალაიმ“

პრემიერა ისრაელში

იანვრის ბოლო დღეებში ისრაელში გაიმართა პრემიერა დოკუმენტური ფილმისა „თუ დაგივიწყო, იერუშალაიმ!“

პრემიერისათვის ისრაელში ჩავიდნენ ფილმის იდეისა და სცენარის ავტორი გურამ ბათიაშვილი და დამდგმელი რეჟისორი მერაბ კოკოჩაშვილი.

პირველი პრემიერა 29 იანვარს იერუსალიმში, „ბეით შმუელის“ ცნობილ დარბაზში გაიმართა. ფილმი ნაჩვენები იქნა ინგლისურ ენაზე, რადგან მაყურებელთა შორის ბევრი იყო ებრაულენოვანი.

ფილმი მაყურებელს წარუდგინა ქ. არიელის უნივერსიტეტის პროფესორმა რუბენ ენოხმა (ენუქაშვილმა). „თუ დაგივიწყო იერუშალაიმ“ მაყურებელმა გულთბილად მიიღო. მისი დამთავრების შემდეგ 18 ქართველი ებრაელის ოჯახის წერილის მნიშვნელობაზე, ფილმის ღირსებებზე, მის მიზანდასახულობაზე ისაუბრეს: იერუსალიმის ვიცე-მერმა შლომო ათიასმა, ისრაელის პარლამენტის წევრმა აბრამ მიხაელიმ, რაფი ბალუაშვილის ქვრივმა რახელ ბალუამ. საქართველოს ელჩმა ისრაელში ლაშა ჟვანიამ. ელი და რაფი ელაშვილებმა – 18 ქართველი ებრაელის ლიდერის ვაჟიშვილებმა, მერაბ კოკოჩაშვილმა და გურამ ბათიაშვილმა.

იერუშალაიმში ჩვენება მოაწყო კომპანია „შაბთაი ხაი“-მ.

31 იანვარს ქ. ხულონში პრემიერა გაიმართა ქ. ხულონის ვიცე-მერმა, მოსეს ხუთწიგნეულის ქართულ ენაზე ჩინებულმა მთარგმნელმა შალომ დავიდმა, რომლის შესავალი სიტყვის შემდეგაც ნაჩვენები იქნა ფილმი „თუ დაგივიწყო, იერუშალაიმ“ ქართულ ენაზე.

ფილმის შემდეგ მაყურებელი ფეხზე ამდგარი უკრავდა ტაშს მის შემქმნელთ.

ფილმის ღირსებებზე ისაუბრეს: საქართველოს ელჩმა ისრაელში ლაშა ჟვანიამ, კომპოზიტორმა სოსო ბარდანაშვილმა, გამოჩენილმა ქართველმა რეჟისორმა, შ. რუსთაველის სახ. სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა რობერტ სტურუამ, ხულონის ვიცე-მერმა შალომ დავიდმა.

გამოითქვა პრეტენზიაც: რატომ სხვა სიონისტებიც არ არიანო ფილმში ნაჩვენები?

კინორეჟისორმა მერაბ კოკოჩაშვილმა და გურამ ბათიაშვილმა მადლობა გადაიხადეს ფილმის დემონსტრაციისათვის.

გაიმართა მცირე კონცერტი. შესრულებული იქნა ქართული სიმღერები, ცეკვები.

საქართველოს ებრაელთა სულიერი მემკვიდრეობა

იცხაკ დავიდი

კაბალისტურ-მისტიკური კვლევა XX ს-ის პირველ ნახევარშიც გაგრძელდა. 1935 წელს ისრაელში დაიბეჭდა ხაიმ ხახიაშვილის წიგნი „სეფერ ხაზონ ჰახაიმ“ (კომენტარები დანიელის წიგნზე, ხოლო 1948 წელს გამოიცა მისივე მეორე წიგნი „სეფერ ხეშბონოთ ჰაგეულა“, რომელშიაც ავტორი შეეცადა მათემატიკურად გამოეთვალა საერთო ხსნის (ებრ. „გეულა“) დადგომის ხანა, მაშიახის მესიის მოსვლის დრო, სახელმწიფოთა და ხალხთა ბედ-იღბალი და ასავალ-დასავალი, ომებისა და მშვიდობის საკითხი, მოსალოდნელი მოვლენები და ძვრები, საკუთრივ ერეც-ისრაელში.

გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ საქართველოს ებრაელთა ისტორია მძლავრი მესიანისტური გავლენის ქვეშ ვითარდებოდა. მაშიახ ბენ-დავიდი იყო ის ღვთაებრივი პიროვნება, რომელიც დღეთა ბოლოს უნდა მოვლენილიყო, გაენთავისუფლებინა მიწა ისრაელისა, აღედგინა დავიდიანთა ტახტი, აეშენებინა წმ. ტაძარი, შეეკრიბა მსოფლიოში გაფანტული ებრაული ტომები, თემები და ჯამაათები და აეღორძინებინა სრული და აბსოლუტური რწმენა იჰვჰ-სი ანუ გამჩენისა. ეს იყო ქართველ ებრაელთა სულიერი კულტურის, მწერლობის, ლიტერატურისა და პოეზიის ძირითადი წარმმართველი კრედო, რამდენადაც დიდი იყო შეჭირვება-შევიწროება, სოციალურ-ეკონომიური პირობების გაუარესება, ეროვნულ-იდეოლოგიური ნიშანსვეტების რყევა და დაცემა, იმდენად უფრო იზრდებოდა მესიანისტური ვნება-მისწრაფება, მძლავრდებოდა მისტიკური ქვეცნობიერითი ნაკადი. რომ აი, ახლოსაა დღე უკანასკნელი განკითხვისა და ხსნისა, მაშიახ ბენ დავიდის მობრძანებისა. ეს სულისკვეთება თანაბარტოლად ასაზრდოებდა საქართველოს ებრაელთა ყველა სოციალურ წრეს და გარკვეული მეტასტაზები ადგილობრივ ქრისტიანულ მოსახლეობაშიც ენიშნებოდა.

შესაბამისად, ქართველი რაბანიტული ებრაელობა განსხვავებით მეზობელ ქვეყნებში მოსახლე კარაიმებისა (ყირიმი, თურქეთი, რუსეთი) ერთსულოვნად ეტანებოდა თორისა და თალმუდის შესწავლას, ე.წ. მიცვოთების ანუ ვედრებების შესრულებას, ცედაკის (ქველმოქმედების) გაცემის დიდ და კეთილშობილურ საქმეს. ამ სტრიქონების ავტორს დღესაც ჩაესმის ყურში მისი დიდი პაპა რაბი იცხაკ მანაშერაშვილისაგან (მას ხომ ჩორნიც იხსენებს) გადმონაცემი მონაყოლი „მაასე მიცვა გორერეთ მიცვა“ („ერთი ვედრების შესრულება მეორეს იწვევს), რომელიც თავისი შინაარსით სცილდება ფიზიკურ-ბუნებრივი მიზეზობრიობის ჩარჩოებს და ზებუნებრივი, არამიზეზობრივი განგებისმიერთან (ებრ. ეაშგახა) ჰკრავს წრეს.

პალესტინასა და საქართველოში ქართულ-ებრაული რაბინული მწერლობის შემდგომი განვითარება

ქართულ-ებრაულმა ნარატულმა რაბინულმა ტრადიციამ არაერთი საინტერესო ისტორიული ეპიზოდი შემოგვინახა, იერუშალაიმელი ებრაელების, სხვადასხვა თემების სულიერი ხელმძღვანელების კონკრეტულ ვითარებაში მოქცევის შესახებ. დას. საქართველოს რაბინებში (რეუბენ ელუაშვილი, დავარაშვილები) გავრცელებული ყოფილა მონაყოლი, იერუშალაიმში 1865 წელს თავსდამტყდარი ხოლერის ეპიდემიის შესახებ, რომელსაც უამრავი ადამიანი ემსხვერპლა. ამ პერიოდში ინტენსიური ყოფილა ებრაელთა ემიგრაცია საქართველოდან პალესტინაში და ცხადია მათაც განიცადეს ამ საშინელი მოვლენის დარტყმა, ასე რომ არაერთი იძულებულიც გამხდარა, უკან, საქართველოში გამობრუნებულიყო. იერუშალაიმის სულიერი ხელმძღვანელნი რ. შემუელ სალანტი (რ. მანოახ ელაშვილის კოლეგა და მეგობარი) და რ. მეირ ოიერბახი სასოწარკვეთილნი დაიარებოდნენ ქალაქის ქუჩებში, არ იცოდნენ რა ეღონათ. რ. მ. ოიერბახი ხშირად დაიარებოდა ცნობილი კაბალისტის რეფაელ-იედიდია აბულაფიას სახლში, რომელიც იეშივა ბეთ-ელის ხელმძღვანელი იყო.

უკანასკნელი თვეების განმავლობაში არაერთხელ ჩააჟინდა რ. ოიერბახი თავის კაბალისტ კოლეგას გაემხილებინა რა იყო მიზეზი დატრიალებული უბედურებისა, თუმც რ. აბულაფია მკაცრად იყო პირმოკუმული და არაფერს არ ამბობდა... და აი, ერთს გვიან საღამოს, რ. მ. ოიერბახი ჩვეულებისამებრ ესტუმრა რ. აბულაფიას დაწესებულ გაკვეთილს „რაში ვიჭირნახულებთ დღეს?“ – იკითხა ოიერბახმა. „ამაღამ ჩვენ ჩვენი რაბის რაშაშ-ის „ქავანებს“ (დააზრებებს) განვიხილავთ „სიზმრის საკითხთან“ დაკავშირებით“ – უპასუხა კაბალისტთა ხელმძღვანელმა. „იქნებ რაღაცაზე მიანიშნებს ეს პასუხი“? – გაიფიქრა რ. ოიერბახმა და რამდენიმე დღის განმავლობაში, თუმც კი ასრულებდა თავის რაბინულ მისიას, – პასუხების გაცემა საჰალახო შეკითხვებზე და სხვა – მაინც მთელი მისი გულისყური და ფიქრები ხსენ. საკითხისკენ იყო მიპყრობილი. და აი, ერთ ცისმარე დილას შილოახის წყაროსკენ გასწია, ტევილის (ჩაყვინთვა-განბანვა წყალში რიტუალური) მისაღებად, დაბრუნდა სახლში, ტალითი მოისხა, თეფილინი დაიდო, იქ დღეს ჩვეულებისამებრ არ მიუღია მთხოვნელები; ასე დარჩა ჩაფლული წმინდა ღვთის მსახურებებში.

ჩამობინდებისას, მთელი დღის მარხვის შემდეგ, ისევ მიიღო ტევილა და საღამოს ლოცვა ილოცა. სანამ თავის საწოლს მიაშურებდა, მთელი საათის განმავლობაში ძილისწინა „კირიათშემას“ კითხულობდა საშინელი აღტკინებითა და ცრემლების ღაპაღუპით. შემდეგ ჩამოჯდა და ტყავის პერგამენტზე სიზმრად ასახსნელი კითხვის დაწერა-შედგენას შეუდგა და სანამ ჩაიძინებდა, ის ნაწერი თავითთ ამოიდო.

შუაღამე იყო მოტანებული, როცა სახლეულობა შეაძრწოლა საშინელმა კივილმა რ. ოიერბახის ყელიდან რომ ამოდიოდა. როცა მიუახლოვდნენ მის საწოლს, იგი საოცრად ფერმიხდილი ჩანდა, მხოლოდ თვალებში გამოკრთოდა რაღაც სხვანაირი სინათლე. მან დაამშვიდა თავის ოჯახის წევრები, წამოდგა ლოგინიდან, ჩაიცვა და ბეთ-ელის იეშივისკენ გაემართა.

მისი მეგობარი რ. აბულაფია უკვე კარში უცდიდა. მან უკვე იცოდა რ. ოიერბახის მიერ განცდილი. „მართლაც, რაღაც საშინელი სიზმარი ვნახე, და ვფიქრობ, რომ მასში არის პასუხი ჩემს კითხვაზე, თუმც ბოლომდე ვერ ჩავწვდი მას“ – სთქვა მან და განაგრძო: სიზმარში ჩემს წინ თეთრ ცეცხლში მოელვარე ფრაზა ენთო (შელომოს „ქებათა ქებიდან“)...

„ჰგავს მეტრფეთ ჩემი ირემს ან შველს აი, დგას იგი ჩვენი კედლის უკან, გვითვალთვალებს ფანჯრებიდან, იყურება ნაპრალებიდან...“ კაბალისტთა ხელმძღვანელი ყურადღებით უსმენდა მას, შემდეგ კი წყნარად წარმოთქვა. ფრაზის პირველი ნაწილი, ჩანს ამ საშინელ სეზზე მიანიშნებს, ვითარც ჩვენი სწავლულნი ამბობენ: „აი, მე გავაალლებ (გაალლება: ე.ი. ნებისდართვა რაიმე დასამართის მოსახდენად – ი.დ.) თქვენს ხორცს, ვითარც მინდვრის ირემ-ნუკრისას და შველისას“, ხოლო ფრაზის მეორე ნაწილში დაფარულია მიზეზი... იგი ოდნავ დაფიქრდა და სთქვა: „კედლის უკან“ ნიშნავს წმ. ტაძრის დასავლეთ კედელს, რომელსაც შეხინა არასდროს არ მოსცილებია. ეტყობა, იერუშალაიმელი ებრაელები საჭირო მოკრძალებით არ ეპყრობიან ჩვენი დანგრეული ბეთ ჰამიკდაშის ნაშთს. აუცილებელია განსაკუთრებული წესის დადგენა, რაც ხაზს გაუსვამს მოსახლეობის წუხილსა და მგლოვიარობას ტაძრის მოოხრების გამო...“

იმავე დღეს, შეიკრიბნენ იერუშალაიმელი რაბინები საერთო ყრილობაზე. რ. ოიერბახმა დაწვრილებით უამბო ნახული სიზმრის შინაარსი და მისი ახსნა ბეთ-ელის იეშივის წინამძღოლის მიერ. ყველა სახტად დარჩა. დადგინდა, რომ ამიერიდან იერუშალაიმის მცხოვრებნი თავიანთი შთამომავლების ქორწილებში აღარ დაუკრავდნენ მუსიკალურ ინსტრუმენტებს. საშინელი ეპიდემიაც გაქრა...

კერძოდ, რ. მანოახ ელაშვილის წერილში აღძრულია სამი საყოფაცხოვრებო-სარიტუალო საკითხი.

პირველი მათგანი ეხება მორდეხაი იცხაკისძე მიხელაშვილს, რომელმაც თავის უფროსი ძმა და ვინმე იაკობ აბრამისძე გაგულაშვილი გაგზავნა სუჯუნიდან ბანძაში იქაური მცხოვრებლების აბრამ აჯიაშვილის ასულის ან იაკობ აჯიაშვილის ქალიშვილის ხელის სათხოვნად და სანიშნად, მხოლოდ ამ ორიდან ერთერთის და სხვა არავისი. მოციქულები ჩასულან ბანძაში და უნახავთ, რომ ხსენ. ქალიშვილები არ იყვნენ სრულწლოვანნი, რის გამოც მათ მშობლებს უარი მოუხსენებიათ მოციქულებისათვის. ძმას თავის თაოსნობით სხვა ქალიშვილი გამოუნახავს, მის მშობლებს შესთანხმებია და სიტყვაც გაუტანია. მეორე მოციქულს არ მოსწონებია ძმის ასეთი ნაბიჯი, დაბრუნებულა სუჯუნაში და ყოველივე უამბნია სასიძოსათვის, რომელიც ფრიად გაბრაზებულა და სასტიკი უარი უთქვამს ძმის მიერ შერჩეული ქალიშვილის თხოვნაზე. რაბი მიხაელი ეკითხება ოაბი სალანტს, როგორ მოვიქცეთ ანალოგიურ შემთხვევებშიო, ე.ი. როცა სიტყვა გატანილია და ქალ-ვაჟი დანიშნულები არიან, ამ დანიშვნის გაუქმება რა სახის კანონმდებლობით საფუძველს უნდა დაემყაროსო?

მეორე საკითხი ეხება აბრამ იცხაკის-ძე ხუბელაშვილს, რომელიც რუთ იცხაკის ასულ მიხელაშვილზე დანიშნულა. რიგი ეკონომიურ-მატერიალური გარემოებებისა თუ მოსაზრებების გამო დანიშვნა გაუქმებულა, გატანილი სიტყვაც დაურღვევიათ და გაგზავნილი ნივთ-საგნები ერთმანეთისათვის დაუბრუნებიათ. ამ საკითხის მოგვარების გზასაც სთხოვს რაბი მიხაელი რაბი სალანტს.

მესამე საკითხი ეხება მოშე აბრამის-ძე მირელაშვილს, რომელსაც დაუნიშნავს სარა მიხაელის ასული თეთრუაშვილი, შემდგომში განვითარებული დრამატული მოვლენების გამო (ვაჟს მამა გარდაეცვალა, თვითონ კი განუკურნებელი სენით დაავადდა, რის გამოც საერთოდ ეკრძალებოდა ქორწინება), ქორწინება არ შემდგარა. შედეგად ქალიშვილი-სარძლო „აგუნას“ სტატუსში მოქცეულა, რის გამოც მას ეკრძალებოდა სხვა პირს მისთხოვებოდა. მისი ოჯახიც საშინელ დღეში ჩავარდნილა, მშობლებს სააღიმენტო სარჩენი გადასახადი მოუთხოვიათ ვაჟისაგან (ე.წ. მეზონოთი).

ასეთი რთული საკითხების დაყენებისას რაბი მიხაელი ვრცლად იშველიებს სპეციალური საკანონმდებლო-სარიტუალო კოდექსების სხვადასხვა მუხლებს, ციტატებს, საბოლოო-დასკვნის გაკეთებას კი რ. შმუელ სალანტს სთხოვს. გაურკვეველია, გასცა თუ არა პასუხი რაბი სალანტმა მ. ელაშვილს, სავარაუდოა რომ კი.

ჩვენს მიერ აღმოჩენილ ხსენ. დოკუმენტი პირველმა ისრაელის კავკასიოლოგიური ცენტრის ორგანოში „კავკასიონში“ დაიბეჭდა (1980, „კავკავსიონი“ V, გვ. 91-93). მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ფაქსიმილიეს ხელახალი გამოქვეყნება წინამდებარე წიგნის ფურცლებზეც.

დღეისათვის საქართველოს ებრაელთა ზნე-ჩვეულებებისა და ყოფაცხოვრების ამსახველი იმდენი ლიტერატურა დაგროვდა, რომ შესაძლებელი ხდება მისი შედარებით-შეპირისპირებითი შესწავლა და ანალიზი. (იხ. „კავკასიონი“, V, 1980, გვ. 84-91). აქ ჩვენ დავკმაყოფილდებით კონკრეტული თემის გარშემო სხვადასხვა წყაროვანი კონტექსტების მოტანით.

თემა: მშობიარობა; წყაროები: **ი. პულნერი, რ. თავდიდშვილი, რ. წითლიშვილი.**

ი. პულნერი (თარგმანი გერმანულიდან):

მშობიარობა – მელოგინეს მომშობიარება ჩვეულებრივ ოთახში მიმდინაროებს, მოძონძილ ქვემაგებში, ქარელში, სურამსა და ცხინვალში – თივაზე.

თუ მელოგინეს ბავშვი დაკლდა, შემდგომ ჯერზე სამშობიარო ადგილი უნდა შეიცვალოს. ადგილობრივი ებრაელები გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მშობიარობის დროსაც. ვინც კვირას დაიბადა – ჯანმრთელი და ძლიერი იქნება, ორშაბათს – მატყუარა და ყოყლოჩინა, სამშაბათს – მდიდარი, ოთხშაბათს – ქურდი და მძარცველი, ხუთშაბათს – მათხოვარი. პარასკევს დაბადებულის ხასიათი, ბუნება და ბედი გაურკვეველი რჩება, ხოლო შაბათს დაბადებული გამოვა ნასწავლი, მორწმუნე და წმინდა. მნიშვნელობა აქვს დაბადების თვესაც ან დღეთა გარემოებებს – უქმე დღე თუ სამუშაო დღე. ქისლევ იარში დაბადებული ბედნიერი იქნება, ელელში – კეთილი, ადარში – გულადი, დღესასაწულებში დაბადებული კეთილი ბუნებისა გამოვა, ახალ მთვარეზე – ბედნიერი...

მშობიარობის ღამეს ოთახში ცეცხლი უნდა ენთოს, ავ სულებს ეშინიათო ცეცხლის. მელოგინეს დასაცავ-შესანახად, მის საწოლ-სასთუმალთან სხვადასხვა ნივთებისა და საგნების დადებას მიმართავენ თევზსაჭერ ბადეს, ცხენის აღვირს, ფსალმუნთ მაგ. ცხინვალში, სურამში და ქარელში). ონში მელოგინე ქალს თავთით უდებენ დანას ან ცულს და სხვ.

ღამღამობით კეტავენ და რაზავენ ფანჯრებსა და კარებს, რომ სახლში არავინ არ შეიჭრას (ეს წესი არაებრაელებშიცაა გავრცელებული).

მელოგინეს დაცვა მშობიარობის შემდეგაც სჭირდება. მოლოგინებიდან 5-6 დღე იგი ლოგინში რჩება. 40 დღე გარეთ არ გამოდის. მოლოგინებიდან 40 დღის (ვაჟის შემთხვევაში) ან 60 დღის (გოგოს შემთხვევაში) განმავლობაში მელოგინე შერაცხულია უწმინდურად (ტმეა). ამ პერიოდის მანძილზე მელოგინე არ გადის კარში, ჭამს სპეციალური ჭურჭლიდან, ქმარს საჭმელს არ უკეთებს, ცალკე წევს. ამ დროის გავლის შემდეგ მელოგინე საბანაოდ მიდის მიკვეში, შემდეგ კი ლოცვაში. იქიდან მობრუნებული ჯერ ნათესავ-მეზობლისას შეივლის, სადაც მას სამი კაკლით, სამიცალი პურითა და სამი ჭიქა ღვინით დახვდებიან, მთელი ეს ძღვენი ადგილზევე უნდა შეიჭამოს და შეისვას. ნარჩენი ღვინით მელოგინე ხელებსა და პირისახეს მოიბანს, რათა ადგილობრივი რმწენის თანახმად უხვად მიეცეს რძე.

როზა თავდიდშვილი:

თუ მშობიარეს უჭირს მორჩენა, ვინც მივა მნახველი მიაძახებს: „ჩემი შემოსვლა – შენი მორჩენა“, თან კაბის კალთას დაიბერტყავს და იტყვის: „როგორც მალე კალთის ბეტყვაა, ისე მალე მას შვილი დაებადოს“. მშობიარესთან მყოფთ ყველას გახსნილი უნდა ჰქონდეს ღილები და სხვა რაიმე შესაკრავი, აგრეთვე იმ სახლში არაფერი უნდა იყოს დაკეტილი იმ რწმენით, რომ როგორც დამსწრეთაგანმა სწრაფად ღილები დაიხსნა, ისე სწრაფად მისი წელიც გაიხსნას და დაბადოსო. მშობიარესთან მოაქვთ სალოცავის გასაღები, სეფერ-თორის კაბა, მთელი პური, რომელსაც მის მუცელზე შუაზე გადასტეხენ ლოცვა-კურთხევით, რომ მალე ეშველოს შეწუხებულს გატეხილ პურს თავთით ამოუდებენ ავადმყოფს, და ბავშვის დაბადების შემდეგ იმავე გატეხილ პურსა და ღვინოს გაუგზავნიან ღარიბს. მშობიარეს ქმარმა თავისი კალთით წყალი უნდა ასვას, რომ როგორც მალე მუცელმტკივანმა წყალი შესვა, ისე მალე ეშველოს.

როდესაც სეფერ-თორის კაბა და სალოცავის გასაღები მოაქვთ მუცელმტკივანთან, კაბას და გასაღებს ზედ გადააფარებენ ღაღადით: „გაუხსნას ღმერთმა საშველი კარები ყოველ მშობიარეს“ (იმ დროს „ეხალისა“ და სალოცავის კარი ღიაა მათ უკან მიტანამდე სალოცავში). ავადმყოფს ეკითხებიან თუ რაიმე ნედერი აქვს, ათარას აუშვებენ; დაუძახებენ ორ ხახამ-თალმიდს, რომელიც პურ-ღვინოზე დალოცავს და ღმერთს შეეხვეწება აპატიოს მშობიარეს, თუ რაიმე ნედერი ვერ შეუსრულებია, რის შემდეგ ყველა დამსწრე მიაძახებს: მუთარლახ, მუთარლახ, მუთარლახ (თავისუფალი იყავი). მშობიარე ღმერთს ეხვეწება, წმინდა დედებს, სარა-რიპკა-რახელ-ლიას, წარდგენ ღმერთის წინ, ილოცონ მისთვის, რომ უშველოს, არ იტანჯოს. ოჯახის უფროსი დედა ან დედამთილი ფუსფუსშია, სანთლებს ანთებს. მშობიარესაც აანთებინებს, ღვთის ვედრებით: „ოო, ღმერთო აბრაამისაო, ღმერთო ისხაკისაო, ღმერთო იაყაკობისაო, თუ ვინიცობაა, დამეთმოს სანთლის ანთება ამ ორსულობაში, მიიღე ეს წმინდა სანთელი (სანთელი აუცილებლად შინ ჩამოსხმულია, ნართიც შინაურია), ნუ მიზამ ჩემი ცოდვისას, მიშველე და მემეხმარე გამჩენო ცისა და ქვეყნისაო“. მშობიარეს ანთებულს სანთლებს შანდლით თავით დაუდგამენ და იქვე უნდა დაიწვას.

(გაგრძელება იქნება)

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „მ“ № 10-23, 2006)

მეირ შლეზინგერი: იუდაიზმი უნდა შეისწავლებოდეს სულიერების მხრივ

29 იანვარს თბილისის ებრაულ სახლს „ჯოინთის“ რაბინი მეირ შლეზინგერი ეწვია. რაბინს მეგზურობას ამიერკავკასიაში იერუსალიმის „ჯოინთის“ კურატორი მაქს ვიზელი და „ჯოინთის“ წარმომადგენელი საქართველოსა და სომხეთში სერგო ვლასოვი უწევდნენ. მეირ შლეზინგერმა დაათვალიერა თბილისის ებრაული სათემო სახლი, ისადილა ქაშერ სასადილოში და ებრაული სახლის თანამშრომელთათვის დიდ დარბაზში ებრაული სახლის პროგრამების კოორდინატორის ზაირა დავარაშვილის დახმარებით ლექცია ჩაატარა. ლექციას არ ჰქონია კონკრეტული თემა.რაბინმა იმ ცხოვრებისეულ მომენტებზე ისაუბრა ამ რამდენიმე წლის მანძილზე – თავისი მუშაობის პერიოში სხვადასხვა ქვეყნის ებრაულ თემებში უნახავს. მსმენელ ნაია კოკიელოვას შეკითხვაზე როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი თორის კანონებიდან გამომდინარე რაბინმა უპასუხა: გაბრაზება ესაა საკუთარი თავის დასჯა სხვისი სისულელის გამო.

31 იანვარს რაბინი კვლავ ეწვია ებრაულ სახლს და თბილისში არსებული ებრაული პრესის წარმომადგენლებს შეხვდა.

რაბინი თავად გაგვეცნო:

– 1933 წელს დავიბადე გერმანიაში. 1 თვისამ დავტოვე გერმანია და პალესტინში გადმოვედით. იმ ოჯახში დავიბადე, რომელიც ერთობლიობაში თორასა და მეცნიერებას აერთიანებდა. ჩემი წინაპრები ხახმები და მეცნიერები იყვნენ. მეცნიერებმა იცოდნენ თორა და თორის მცოდნეები იყვნენ მეცნიერები. ჩემი ოჯახი ტიპიური ოჯახი გახლდათ – მამა იუსალიმში საავადყოფოს ექიმი იყო. მე საჯარო რელიგიურ სკოლაში დავდიოდი. 18 წლისა კიბუცში გადავედი და კიბუცელებს შევუერთდი. დროთა განმავლობაში კიბუცის რაბინი გავხდი. იქვე გავხსენი იეშივა, ამ იეშივაში 1000-ზე მეტი მოსწავლე სწავლობდა. 15 წლის წინათ დავტოვე იეშივა და „ჯოინთში“ გადმოვედი. ჩემი მიზანია რუსულენოვან ებრაულ თემებს დავეხმარო დაუბრუნდნენ ტრადიციებს. მადლობა ღმერთს მყავს მეუღლე, შვიდი შვილი, 30-მდე შვილიშვილი და 3 შვილთაშვილი. ახლა თეთრი წვერი მაქვს, მაგრამ იყო დრო, როცა ეს წვერი წითელი იყო.

– რა არის თქვენი ჩამობრძანების მიზანი?

– ძირითადი მიზანია ებრაულ თემებში გაძლიერდეს ებრაული სული. მომიწვიეს, რომ არსებული მდგომარეობისთვის გადამეხედა და თუ საჭირო იქნებოდა, ლექციაც წამეკითხა. ჩემი მიზანია ებრაულმა ორგანიზაციებმა ერთი სულისკვეთებით იმუშაონ. საქართველოს ებრაელობა ტრადიციებთან მჭიდროდ არის დაკავშირებული, მაგრამ ზოგჯერ არის მომენტები, როცა მათ უხდებათ რაღაცაზე უარის თქმა. მე ასეთი წარმოდგენა შემექმნა, რომ საქართველოში მცხოვრები ებრაელები სახლში იცავენ ქაშრუთს, მაგრამ იგივე ებრაელი გარეთ რესტორანში ისე მიირთმევს სადილს, არც კითხულობს რა არის. მე მათ არ ვადანაშაულებ. არის იუდაიზმი სახლისა, არის იუდაიზმი თემისა და – იუდაიზმი ინდივიდისა. თემის დონეზე ფიქრობენ, რომ უნდა ვიყოთ ებრაელები, როცა „ჯოინთის“, სოხნუთის და საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის ღონისძიება ტარდება, დარწმუნებული ვარ, რომ ყველაფერი ქაშერია. თემის დონეზე ყველაფერი კარგადაა, ინდივიდის დონეზე კი – დრეკადი. კიდევ ბევრია გასაკეთებელი. როცა 14 წლის წინათ უკრაინაში დავიწყე მუშაობა, დავინახე იქაური პირობები., მაშინ ხალხს ვთხოვე რომ თემის დონეზე მაინც დაეცვათ ებრაელობა. მათ მითხრეს:

– რაბი, მე სახლში არ ვიცავ ებრაელობას და მხოლოდ თემის დასანახად სპექტაკლი როგორ მოვაწყოო? მათ ვუთხარი: მე თვალდახუჭული არ ვცხოვრობ – თვალები ფართოდ მაქვს გახელილი. პირველი, რაც ჩვენ გვევალება, თემის წარმოჩენაა. ტრადიციები პირველ რიგში, თემში უნდა იყოს დაცული. მათი შთაგონებისთვის რამდენიმე წელი დამჭირდა. კიდევ ერთი მაგალითი: რუსეთის ერთ-ერთ ქალაქში ხანუქის დიდ დღესასწაულს აღნიშნავდნენ, დღესასწაულს ქალაქში მცხოვრები თითქმის ყველა ებრაელი ესწრებოდა. აანთეს ხანუქია, მოიტანეს სადილი და რა იყო სადილი? – ღორის ხორცი. ეს მოხდა 1994-95წ.წ თემის ლიდერს ვკითხე ეს რა არის-მეთქი,მან მიპასუხა მე არ ვარ რელიგიური და თქვენ თუ გნებავთ, არ ჭამოთო. პრობლემა ჩემში არ იყო – მე რა თქმა უნდა, არც შევჭამდი, მაგრამ უნდა გავიხსენოთ ხასმონაები: რისთვის იბრძოდნენ ისინი. ყველაფერი ხომ სწორედ თორიდან დაიწყო.

– საქართველოს ხესედის სამეურვეო პირებს დღეს აქვთ საშუალება მოვიდნენ ხესედის სასადილოში და მიირთვან ქაშერი სადილი. მაგრამ არის საუბარი იმის თაობაზე, რომ ხვალ სამეურვეო პირებს დაურიგდებათ ტალონები და ისინი სახელმწიფოში არსებულ სხვა სასადილოებში ისადილებენ, ასევე ტალონების საშუალებით შეეძლებათ სუპერმარკეტებში შეიძინონ პროდუქტები. ეს გარემოება შექმნის თუ არა ქაშრუთის პრობლემას?

– რაც „ჯოინთში“ ცვლილებები ხდება, ყველაფერი სულიერებასთან არ არის დაკავშირებული. მდგომარეობა საქართველოში უკეთესია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ვიყავი სკოლაში თიფერეთ-ცვი. არიელ ლევინი ჩემი მეგობარია. რამდენიმე წლის წინათ როცა საქართველოში ვიყავი, არიელ ლევინის სახლში ვცხოვრობდი. სკოლას დიდი პოტენციალი გააჩნია, მაგრამ სავალალო პირობებშია, როცა იერუსალიმში ჩავალ, ამ საკითხს დავაყენებ და ბეჭედსაც ჩემი ხელით დავსვამ.

„ორ-ავნერის“ საბავშვო ბაღიც მოვინახულე, აღფრთოვანებული ვარ. ძლიან კარგი იყვნენ ყველანი.

ვფიქრობ, რომ რელიგიურ პირთა შორის არ უნდა არსებობდეს პოლიტიკა. საქართველოში ამ მხრივ სხვა ქვეყნებან შედარებით ლიბერალურია მდგომარეობა. სულიერ ლიდერებს შორის ლიბერალური დამოკიდებულებაა.

მე ვხედავ იმას, რასაც მაჩვენებენ. ებრაულ სახლში სტუმრობისას დავინახე, რომ ეს სახლი „ჯოინთის“ სათემო სახლია. აქ არ არის ხაბადი, სოხნუთი, მაგრამ ისინი ერთმანეთთან თანამშრონლობენ – ეს ძალიან კარგია. ხაბადში ყოფნისას გამოთქვეს სურვილი თანამშრომლობისა. რას გააკეთებენ არ ვიცი, მაგრამ სურვილი რომ არსებობს, ეს კარგია. კარგი სიტყვაც რაღაცას ნიშნავს. ჩვენ უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ იუდაიზმი შეისწავლებოდეს სულიერების მხრივ. იუდაიზმი მარტო რიტუალების შესწავლა არ არის. ესეც აუცილებელია, მაგრამ ებრაელობა მხოლოდ ეს არ არის.

იმავე დღეს სპეციალურად რაბინისთვის ებრაული სახლის დიდ დარბაზში, დავით მანაშეროვის ნამუშევართა გამოფენა მოეწყო.

ნინო ლომია

დადგა ჟამი მილოცვისა!

წამები, წუთები, საათები, წლები უკანმოუხედავად გარბის... თურმე რა დრო გასულა,ნახევარ საუკუნეზე მეტი... მართლაცდა რა დრო გასულა... ფიქრის, შრომის,დაუღალავი მეცადინეობისა და სრულყოფისაკენ სწრაფვის წლები... შეჩერდი წამო, გულისნადები უნდა გაგიმხილო,შენი დროის მონაკვეთში საყვარელ ადამიანს უნდა მოვეფერო, მის განვლილ ცხოვრებაზე ვილაპარაკო და მომავალი ცხოვრების ბილიკები დავულოცო.

გულახდილად გეუბნებით,ძალზედ მიჭირს ამგვარი პიროვნების ღვაწლის სააშკარაოზე გამოტანა და აღიარება, ვშიშობ რაიმე არ გამომრჩეს, ვშიშობ, თუმცა სურვილი დაუოკებელია მითუმეტეს როდესაც თვალწინ ჭეშმარიტად სულითხორცამდე პედაგოგი და თხემითტერფამდე ორი სამშობლოს პატრიოტი წარმომიდგება, სათქმელი იოლდება, კალამი თავისით იკვლევს გზას, რადგან ყველაფერს მისი საქმენი ღაღადებენ, ჩვენ კი დუმილის უფლება არა გვაქვს.

მიზეზი – დაბადების დღე.

მიზანი – ჩრდილშიმდგარი ადამიანების დაფასება, რათა "დიდებული ადამიანები უძეგლოდ არ დაიკარგონ."

სახელი – ზაირა (ებრაულ ენაზე სინათლეს,ნათებას ნიშნავს, ალბათ ამიტომაცაა, რომ მის სახეს მუდმივად ღვთაებრივი სხივი დასთამაშებს!)

გვარი – დავარაშვილი.

პროფესია – გერმანული ენის სპეციალისტი.

საქმიანობის სფერო – უამრავზე უამრავი!გაინტერესებთ?კი ბატონო! მაშ გულისყურით წაიკითხეთ: საქართველოს დავით ბააზოვის სახელობის ებრაელთა ისტორიულ – ეთნოგრაფიული მუზეუმის სამეცნიერო განყოფილების გამგე; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ასოციაციის წევრი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი; მსოფლიო ებრაელ ქალთა ორგანიზაცია „ემუნას“‘ თბილისის ფილიალის კოორდინატორი; ებრაული პოეზიის წრის ხელმძღვანელი;კლუბ „26 საუკუნის“ დიასახლისი; ებრაული ენის პედაგოგი; თბილისის ებრაული სათემო სახლის პროგრამების კოორდინატორი; იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტის ს.მელტონის სახელობის კურსის პირველი დიპლომანტი საქართველოში და ა.შ.

გებევრათ? თავს როგორ ართმევს? ამ შემთხვევაში ეს ის კითხვებია რომელსაც რიტორიკულს უწოდებენ, ხოდა პასუხი არა აქვს! ამას უნდა დავჯერდეთ.

აღიარება – ღირსების ორდენის კავალერისათვის ყველაზე ძვირფასი ხალხის სიყვარულია.

ოჯახური მდგომარეობა – მეუღლე: ალეკო ელიაშვილი; შვილები: ბესიკი (ციონი) და რუსიკო (რუთი); შვილიშვილები: ნინიკო, ნომი, დრორი, ავიგალი.

ზაირა ბებოს უხარია რომ მისი შვილიშვილები ამაყობენ „საფთას“ მიერ ებრაულად თარგმნილი ქართული „იავნანათი.“

თუმცა კი საამაყოს რა გამოულევს ზაირა ბებოს. არამარტო მისმა შთამომავლობამ,არამედ ჩვენც უნდა ვიამაყოთ ამ ქართველი ებრაელი გამორჩეული მანდილოსნით!აფერუმ,თქვენს შემართებასა და შრომისუნარიანობას ქალბატონო ზაირა, თქვენი ენერგია და ფუტკარივით გარჯა ახალგაზრდასაც კი შეშურდება (აქვე გამოგიტყდებით რომ იმ „შურიანთა“ რიგებში მეც ვარ). და განა მარტო ეს თვისებაა თქვენში გამორჩეული და სამაგალითო, კიდევ ხასიათის ბევრი თვისება და შტრიხი გვხიბლავს თქვენს გარშემომყოფთ. სიკეთისა და სათნოების სრულყოფილ მაგალითად თუ ვინმეს დასახელება შეიძლება ერთ-ერთი პირველთაგანი თქვენა ხართ... ალბათ, იმიტომ რომ სიკეთისა და სიყვარულის მართვა არ ძალგიძთ, რადგან ასეთად გაგაჩინათ ღმერთმა, უფლისგან ნაბოძებ ამ სიკეთეს ყველას დაუღალავათ გვინაწილებთ და განურჩევლად აფრქვევთ ერსა თუ ბერს. გულისგულიდან ამოსული სათუთი სიტყვებით ეფერებით თვითოეულ ადამის ძეს, უამრავ ლამაზ სიტყვებთან ერთად ყველას თქვენეული განსაკუთრებული სიყვარულით უხვად გვაჯილდოებთ.ერთი კია – თქვენ უნდა გაჯილდოებდეთ ყველა, რადგან ჭეშმარიტად თქვენ იმსახურებთ შექებას,თქვენს მიერ განვლილი საინტერესო და მრავლისმთქმელი გზა ელის აღიარებას.

ად მეა ვე ესრიმ! – ასე ლოცავენ ებრაელები უახლოეს ადამიანებსა და ჩვენც, ჩვენო უახლოესო ადამიანო ამგვარად დაგლოცავთ.მიიღეთ ეს სიტყვები ჩვენდგან ძღვნათ, ჩვენს საჩუქრად, დაბადების დღეს გილოცავთ დამრიგებელო, მასწავლებელო, მოძღვარო. გისურვებთ ბედნიერებას, ულევ სიხარულს, ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, მზეგრძელობას, ოცნებების ასრულებას. დიდხანს იცოცხლეთ, იღვაწეთ თქვენი საყვარელი თემის საკეთილდღეოდ, სულში სუსხი და ბოროტება ნურასოდეს შეგპარვოდეთ ჩვენო საყვარელო ზაირა მასწავლებელო!



ირმა აბაშიძე და თიკო თევზაძე
ებრაული პოეზიის წრის
წევრების სახელით

ქართველი ებრალების გადარჩენა

ფრანსუაზა და რევაზ ნიკოლაძეები

პარიზის განთავისუფლების შემდეგ, 1944 წლის აგვისტოს ბოლოს, სიკვდილის ბანაკებში გადასახლებულ ქართველ ებრაელთაგან ერთადერთი ადამიანი ვერ დაბრუნდა.

1942 წელს ჰიტლერის მიერ განხორციელებულ გენოციდს, გარემოებათა რა დამთხვევის გამო გადაურჩა ეს 40 ოჯახი? ეს იყო საფრანგეთის პოლიციის მიერ განხორციელებული დაპატიმრებების თავიდან აცილება, როდესაც უცხოელი ებრაელები თავდაპირველად ბონ ლა როლანდის ოკუპირებულ ზონაში ჯერ პიტივიერის ინტერნირების ბანაკებში მიემართებოდნენ, შემდეგ კი დრანსში, თუ ოშვიცში ვეებერთელა გადასარჩევი სადგურიდან თავის დაღწევის შედეგი?

ქართველი ებრაელების ბედი არ შეიძლება შევადაროთ მათივე რუსი თანამემამულეების ბედს. სინამდვილეში, ნაცისტური ოკუპაციის ზეგავლენის ქვეშ მოქცეულმა პარიზის რუსულმა საემიგრაციო საქმეთა სამმართველომ, რუსი არაებრაელები და ებრაელები ერთმანეთისაგან გამიჯნა. ებრაელები იდევნებოდნენ, იტანდნენ შეურაცხყოფას და ატარებდნენ ყვითელ ვარსკვლავს. აქვე გავიხსენოთ მართლმადიდებელი მონაზონი მარია სკობცოვა, რომელიც ებრაელობას დახმარებას უწევდა. იგი დაასმინეს და რავენსბრუკში გადაასახლეს, სადაც გარდაიცვალა კიდეც აუტანელი მოპყრობისა და ძალების გამოფიტვისაგან, რითაც განამტკიცა თავისი ქრისტიანული იდეალი.

იმისათვის რომ გავერკვეთ ქართველ ებრაელთა გადარჩენის მექანიზმში, საჭიროა გავეცნოთ მის ისტორიას, რომელიც უხსოვარ წარსულში, ჯერ კიდევ ქრისტეს დაბადებამდე იღებს სათავეს. იოსებ ფლავიუსმა სხვა ისტორიკოსებზე ადრე ქართული მხარე ბიბლიის ისეთ პერსონაჟებს დაუკავშირა, როგორიცაა ნოე. სხვა ისტორიკოსთა თვალსაზრისით კი საქართველოში ებრაელთა მოსვლა-დამკვიდრება ჩვ. წ. აღ-მდე VIII საუკუნეში მოხდა, რაც იერუსალიმის ტაძრის მშენებლობას დაუკავშირეს, რომლისთვისაც საჭირო გახდა იშვიათი მარმარილო, რომელიც კავკასიაში მოიპოვებოდა.

საუკუნით გვიან, ნაბუქოდონოსორის მიერ ებრაელთა ბაბილონში განდევნის შემდეგ, ებრაელები საქართველოს უძველეს დედაქალაქში – მცხეთაში დასახლდნენ. დევნილი და ტანჯული ერი IV საუკუნეში გაქრისტიანებულ საქართველოში საუკუნეთა მანძილზე მკვიდრდებოდა და ვითარდებოდა. ქართველებთან თანაცხოვრების მანძილზე მან შეინარჩუნა მშობლიური ენა და სარწმუნოება. აქ მათ არ ანსხვავებდნენ არც წარმომავლობის, არც ადათ-წესების, არც საქმიანობის და არც ებრაული ენის გამო. საქართველოში მათ არ შეხებიათ ანტისემიტიზმის პრობლემა. არ ყოფილა არცერთი ე.წ. „პოგრომი“, დევნისა თუ შევიწროების არცერთი მაგალითი, რომელიც ქართველებთან ურთიერთგაგების რღვევის მიზეზი გახდებოდა. თუმცა, იმ დროისათვის რუსეთსა და პოლონეთში საპირისპირო ვითარება სუფევდა. აქ ებრაელთა არა მხოლოდ დევნა, მათი ძარცვის, ყაჩაღობისა და განადგურების ფაქტებიც ხშირი იყო. ასეთმა დამოკიდებულებამ ეს მცირერიცხოვანი ხალხი ცარისტული ხელისუფლების წინააღმდეგ განაწყო.

XIX საუკუნის საქართველოში, რომელიც იმ დროისათვის უკვე რუსეთის იმპერიის მიერ იყო ანექსირებული, ებრაელები ადგილობრივ მოსახლეობასთან თანასწორი უფლებებით სარგებლობდნენ და მათ თანამემამულეებად აღიქვამდნენ. საქართველოს ხელისუფლება ებრაელობაზე არ ავრცელებდა იმ მკაცრ სანქციებს, რომელიც რუსეთში მოქმედებდა: გახანგრძლივებული სამხედრო სამსახური, რეზერვირებული ზონები, სპეცსკოლები, უმაღლეს სასწავლებლებში პროცენტული დამოკიდებულება და სხვა. ისინი მოიაზრებოდნენ საკუთარ მიწას მოწყვეტილ ქართველ პატრიოტებად.

1907 წელს, რუსეთის დუმის ქართველმა დეპუტატებმა ირაკლი წერეთელმა და აკაკი ჩხეიძემ საუბარაზე გამოიტანეს და დაგმეს რუსეთსა და პოლონეთში ებრაელობის ის „ამაზრზენი მკვლელობები“, რომლებზეც პასუხისმგებელი სტოლიპინის მთავრობა იყო.

ქართველ ებრაელთა სოლიდარობა საფრანგეთის ემიგრაციას ძალას ჰმატებდა. ებრაული ოჯახები ემიგრაციაში იმავე პოლიტიკური მიზეზით იმყოფებოდნენ, რა მიზეზიც ქრისტიან, თუ აგნოსტიკ ქართველებს ჰქონდათ. ამგვარად, იოსებ ელიგულაშვილი – ფინანსთა და ვაჭრობის მინისტრის – კანდელაკის მოადგილე, რომელმაც 1919 წლის 12 მარტს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე მოაწერა ხელი, 1921

წელს სოციალ-დემოკრატ მთავრობასთან ერთად გაემგზავრა პარიზში.

აბრეშუმისა და ტრიკოტაჟის საწარმოს ხელმძღვანელობასთან ერთად, იოსებ ელიგულაშვილმა თანამოაზრეთა იდეოლოგიური წინამძღოლობა ითავა და მათ პატრიარქად იქცა. მისი მორალური ავტორიტეტი სიცოცხლის ბოლომდე უცვლელი დარჩა. გარდაიცვალა ომის შემდეგ.

ქართველი ებრაელები საფრანგეთის ემიგრაციაში ისეთივე ცხოვრებით ცხოვრობდნენ, როგორც კოლონიის სხვა წარმომადგენელნი. ისინი არ იყვნენ დაჯგუფებულნი რომელიმე გაერთიანებაში, თუმცა, „კულტურული და ნათესაური ურთიერთობა ჰქონდათ საფრანგეთის ებრაულ დიასპორასთან“. საყოველთაო ცნობები ადასტურებენ არსებულ მდგომარეობას და გვაწვდიან იმ ოცი ოჯახის გვარებს, რომლებიც 40-იან წლებში პარიზში ცხოვრობდნენ. ისინი აღწერენ იმ განსაკუთრებულ მდგომარეობას, რომელიც მათ ომის განმავლობაში გადაიტანეს. თუმცა, ეს ფრაგმენტული, არასრული ცნობები ხშირად არაზუსტია და მცდარიც კი. ლეონ ელიგულაშვილის (იოსებ ელიგულაშვილის ძმისშვილი) ხელმძღვანელობით შესაძლებელი ხდება ცნობების გადამოწმება და დაზუსტება იმ არაებრაელი ქართველი მოწმეების დახმარებით, რომლებიც დღესაც ცოცხლები არიან.

1940 წლის 3 ოქტომბერს ვიშის ხელისუფლების ინიციატივით ოფიციალურ გაზეთში გამოქვეყნდა პირველი ანტიებრაული სტატია, რომელშიც ითხოვდნენ რა „ისრაელელების“ აღრიცხვაზე აყვანას, არღვევდნენ მათ უფლებებს. 1941 წლის ივნისის კანონმა მოსალოდნელი საფრთხე კიდევ უფრო გააძლიერა. გერმანელები ოკუპირებულ ზონებში ყვითელი ვარსკვლავის ტარებას მოითხოვდნენ. ეს კანონი ძალაში შევიდა 1942 წლის 7 ივნისს. ხოლო 1942 წლის დეკემბერში მინიშნება „ებრაელი“ უკვე შეტანილია პირადობის დამადასტურებელ მოწმობაში და კვების ბარათებში. მიუხედავად ყველა ჩამოთვლილი ანგარიშსწორებისა, ქართველმა ებრაელებმა შეძლეს თავის გატანა.

როდესაც ქართველმა ებრაელებმა ნიშნად საფრანგეთის კანონის პატივისცემისა, ათასობით ებრაელის, ფრანგისა, თუ უცხოელის მსგავსად, დაიწყეს კომისარიატებში ჩაწერა, გამოხატეს რა რწმენა და ნდობა საფრანგეთის მიმართ, ევგენი გეგეჭკორმა (რომელიც თავისი მეგობრის პეტენის ხელისუფლების ყოფილი მინისტრის – ადრიენ მარკეს მიერ იყო შეგულიანებული) და ნოე ჟორდანიამ გადაწყვიტეს თანამემამულეთა გადარჩენა, მათ ამ საკითხზე იოსებ და ლეონ ელიგულაშვილებთან მოითათბირეს.

იოსებ ელიგულაშვილი, როგორც საინტერესო პიროვნება, ჩვენს ყურადღებას იმსახურებს. ამიტომაც ვფიქრობთ, მასზე საუბარი მკითხველისათვის ურიგო არ იქნება: იგი 1890 წელს ქუთაისში დაიბადა, ჯერ კიდევ ახალგაზრდამ გაილაშქრა ცარისტული ხელისუფლების წინააღმდეგ. მისი მეამბოხე სული და რევოლუციური შემართება გახდა მისი დაპატიმრების მიზეზი. 1917 წელს, მოსკოვში ყოფნისას, იგი მოწმე გახდა სასტიკი ბოლშევიკური გამოსვლებისა, რის შემდეგ იძულებით დაბრუნდა საქართველოში და სოციალ-დემოკრატებთან გაერთიანდა.

1919 წელს იოსებ ელიგულაშვილი დელეგატის სტატუსით მონაწილეობს საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების მუშაობაში. მოსკოვის კომერციის ინსტიტუტში მიღებულმა ცოდნამ უსაფუძვლოდ არ ჩაიარა და ეკონომიკაში მიღებული გამოცდილების წყალობით ევროპაში საქართველოს ეკონომიკის წარმომადგენლად აირჩიეს, შემდეგ კი – მიუხედავად მისი ყმაწვილური ასაკისა, ფინანსთა, ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრის მოადგილედ.

1921 წლის თებერვალში, იგი ეთნოლოგ ექვთიმე თაყაიშვილს დაეხმარა წითელი არმიისაგან ქართული ეროვნული საგანძურის დაცვაში. ნოე ჟორდანიასთან შეთანხმებით, საგანძური საფრანგეთში ინახებოდა და 1946 წელს ეროვნული სიმდიდრე ქართველ ერს საზეიმოდ დაუბრუნდა თავად მეცნიერის მიერ.

ემიგრაციაში იოსებ ელიგულაშვილი ქართველ ებრაელთა შორის მოსეს რწმენის ერთგული ქადაგი იყო. იოსებ ელიგულაშვილი 1952 წელს გარდაიცვალა. მისადმი პატივისცემის ნიშნად, მინისტრმა კანდელაკმა გაიხსენა მისი იდეალები, ისეთი როგორიცაა: „ერთიანობა ქართველებს შორის“; დიდსულოვნება და ამ „საზოგადოების მეგობრის“ ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, „პატივსცემით განწყობილი ყველა ერისა და რელიგიის მიმართ“ მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ზრუნავდა თავისი ქვეყნის კულტურული სიმდიდრის დაცვაზე. იგი პატივს სცემდა ყოველ ერსა და ყველა რელიგიას. ამ თავმდაბალი და მოკრძალებული პიროვნებისთვის უზენაესი საქართველოს ისტორია იყო და სიცოცხლის ბოლომდე უზენაესად დარჩა.

ვიშის ხელისუფლების მიერ განხორციელებული დევნის დროიდან, პირველი გადაწყვეტილება რომელიც მისმა თანამემამულეებმა ადრიენ მარკეს გაფრთხილებით მიიღეს, იყო რეგისტრაციაზე უარის თქმა. რა ახსნა შეიძლება მოვუნახოთ 1940 წლის ივლისში შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის ასეთ ნაბიჯს?

იგი 1933 წელს გარიცხულ იქნა „სფიო“-დან. თუმცა, 1920წ. ევროპელ-სოციალისტთა მისიაში მიიღო მონაწილეობა, აქ შეხვდა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას და მის სოციალ-დემოკრატ მინისტრებს: ე. გეგეჭკორს, კონსტანტინე კანდელაკს, სოსიპატრე ასათიანს, ალექსანდრე ჩხენკელს და ნოე ცინცაძეს, რომელიც მოგვიანებით ქართველ ებრაელთა გადარჩენის საქმეში მონაწილეობს.

მარკემ მეგობრული კავშირი დაამყარა მათთან მათი გადასახლების პერიოდში პარიზში და გახდა რა ნეოსოციალისტი და მიუნხენის პაციფისტი ვიშის პარტიაში აქტიურ მოღვაწეობას შეუდგა თუმცა, ანტისემიტი არ იყო. 1940 წლის სექტემბრიდან იგი ხელისუფლებას ტოვებს.

– ამის მიზეზი რასისტული კანონების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულებაა – აღნიშნავს ლეონ ელიგულაშვილი. ცნობილია, რომ მარშალი პეტენი არ ენდობოდა III რესპუბლიკის ყოფილ პარლამენტარებს და მათ მოშორებას ამჯობინებდა.

მარკე კვლავ ეხმარებოდა ქართველ ებრაელებს და შუამდგომლობდა მათ ფრანგ ავტორიტეტებთან. ამას გარდა, 1942 წლის 16 ივლისს მასობრივი დაპატიმრებების წინა ღამეს, დეპორტაციამდე ველოდივში ებრაელთა მასობრივი აყვანა იგეგმებოდა. მარკემ იოსებ და ლეონ ელიგულაშვილები საგანგაშოდ გააფრთხილა მოსალოდნელი დაპატიმრებების შესახებ, რათა სასწრაფოდ გაეფრთხილებინათ რაც შეიძლება მეტი ებრაელი. დიასპორაზე პასუხისმგებელთა ქმედება მეტყველებდა განთავისუფლების იმ პროცესზე, რომელიც საჭირო იყო სიკვდილისაგან თავის გადარჩენისათვის.

კანონისაგან თავის არიდება მეტად სახიფათო იყო. ამას შეიძლებოდა სოლიდური ჯარიმები მოჰყოლოდა. უმეტეს შემთხვევაში – დამახარისხებელ ბანაკებში ინტერნირება. აუცილებელი გახდა ოფიციალური დოკუმენტის შედგენა, რომელიც მსგავს დარღვევებს დაარეგულირებდა. ეს იდეა სულაც არ იყო ალოგიკური. 1941 წლის 2 ივნისის კანონის მერვე მუხლი ითვალისწინებდა შეღავათებს საგანგებო სამსახურებისათვის. საფრანგეთის ებრაელთა კავშირმა, მოიპოვა „კანონიერი“ საბუთი, ფრანგი ებრაელებისათვის.

მაშინ როდესაც ნოე ჟორდანიამ მეგობრებთან ერთად გაიზიარა მიხეილ კედიას თვალსაზრისი, რომელიც ოკუპანტ ხელისუფლებასთან კავშირს უკვე წინდაწინ სახავდა, გერმანელ და ფრანგ ავტორიტეტებთან მოლაპარაკებების წარმოების მიზნით. უკვე ოფიციალურად შეძლეს განთავისუფლებულიყვნენ ებრაელთა აღრიცხვაზე აყვანისაგან და ცნება „ებრაელის“ ამოღებაზეც შეთანხმდნენ. მოსეს რელიგიის მიმდევარი ქართველების შესახებ ბრძანებულება შეტანილ იქნა 1941 წლის ივლისის დებულებაში, სადაც ქართ-ველი ებრაელი ვაჭრები ამოღებულნი იქნენ „არიანიზაციიდან“, რაც კომერსანტებს ძარცვისაგან აზღვევდა.

„ხანის“ უკანასკნელი ფაზა ისეთი პირადობის მოწმობების შედგენა იყო, რომელშიც აღარ იარსებებდა რასობრივი ცნება. ამისათვის შეიქმნა არაებრაელთა კომიტეტი, რომელიც უფლებამოსილი იყო განესაზღვრა ქართული წარმოშობის იყო ებრაელი, თუ – არაქართულის. ეს დასტურდებოდა შესაბამისი დოკუმენტით, რომელსაც პოლიციაც აღიარებდა. საშა ქორქია ამ კომიტეტის ხელმძღვანელი იყო, მისი ვაჟი გივი კი, რომელიც გერმანიში აღიზარდა და 1941 წლის ივნისში კუნძულ კრეტაზე იქნა განაწილებული ავიაციაში, „პარაშუტაჟში“ დაიღუპა. საშა ქორქია არ იყო გერმანული ორიენტა-

ოკუპირებულ საფრანგეთში

ციის,მაგრამ ვაჟიშვილის გმირული სიკვდილის შემდეგ მაინც წარსდგა ოკუპანტების წინაშე. ამგვარად დაინიშნა იგი „ხსნის“ კომიტეტის ხელმძღვანელად. თვითმხილველნი საუბრობენ იმაზე, რომ იგი იყო ყურადღებიანი თანამემამულეების მიმართ, ანტინაციისტი და ყოველთვის ცდილობდა თანამემამულეებისათვის მოსალოდნელი საფრთხე აერიდებინა.

30-იან წლებში საფრანგეთში საშა ქორქიას საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე – ს. ასათიანი უწევდა დახმარებას. ამ უკანასკნელისათვის გადარჩენის მისია ორმაგად მნიშვნელოვანი იყო. მისი ებრაელი მეუღლე დეპორტაციას მხოლოდ ქართველთა და ფრანგთა დახმარებით გადაურჩა – დრანსიდან გამოიყვანეს.

ეს კომიტეტი არა მხოლოდ ქართველ ებრაელთა დახმარებით იყო დაკავებული – მათ სიაში 243 ოჯახიდან ათასი გვარი ერთიანდებოდა. სიაში აგრეთვე თურქმენული, ბალკანური, ირანული და ესპანური წარმოშობის ებრაელებიც შეიყვანეს. თუმცა, ხშირად მათი გვარების „გაქართველებას“ ეწეოდნენ. იოსებ ელიგულაშვილი ადასტურებს ამ ფაქტს და აღნიშნავს, რომ ემიგრაციის სიამაყეს წარმოადგენს ებრაელ თანამემამულეთა დაცვა. ის მიანიშნებს, რომ ქართველებმა მნიშვნელოვანი სამსახური და შუამდგომლობა გაწიეს ესპანელი ებრაელების გადარჩენისათვის.

დასპორა აგრეთვე ეძებდა აღმოსავლელ ყარაიოელ ებრაელთა სექტასთან ურთიერთობის გზებს და, ამით კიდევ ერთხელ ადასტურებდა ქართველთა მოწადინებას გადაერჩინათ ებრაელები.

კომიტეტმა თავისი გავლენა 1943 წლის ბოლომდე შეინარჩუნა. ომის გარდატეხის პერიოდში ნაცისტთა ისტერია უფრო გაძლიერდა. ლეონ ელიგულაშვილის მეუღლის – მირიამის მდელვარე მონათხრობი კი ადასტურებს აღნიშნულ ვითარებას. მირიამი დაიბადა სალომონოვიეცში და როგორც პოლონური წარმოშობის ებრაელი, ყვითელი ვარსკვლავითა და პირადობის მოწმობით, პატიმრობისათვის იყო განწირული. დაასმინეს კიდეც და დააპატიმრეს. წაიყვანეს პარიზის პოლიციის პრეფექტურაში. მირიამს მხოლოდ თავისი ჩვილის დარდი აწუხებდა. გამთენიისას პოლიციაში ბრძანება მოვიდა ბავშვის აყვანის შესახებ. ბავშვი დედას მიუყვანეს. მირიამმა იგი შეახვია და დრანსში გასამგზავრებლად გაემზადა, მაგრამ დიასპორის ჩარევის წყალობით, დაპატიმრება აირიდა და პრეფექტურაში დაბრუნების შემდეგ თავისუფლებასთან ერთად ახალი პირადობის მოწმობაც მისცეს, რომელშიც ამჯერად უკვე აღარ ფიგურირებდა ცნება „ებრაელი“.

ქართველების მიერ შედგენილი პირადობის მოწმობები იყო გარანტი მათთვის სიცოცხლის შენარჩუნებისა, დროის მოგებისა და ძალების მოკრებისა. მაგრამ 1944 წლის გაზაფხულზე იოსებ ელიგულაშვილის ცოლის ძმა იფრაიმ რაბინოვიჩი ნიცაში დააპატიმრეს და დრანსში – განადგურების პოლონურ ბანაკში – გადაიყვანეს. აქედან იგი დაიკარგა. ლეონ და იოსებ ელიგულაშვილთა მეუღლეები იხსენებენ: „იმისთვის რომ თავი გადაგვერჩინა ყველანი ვიმალებოდით“, და მათი თანამემამულეების მსგავსად ემადლიერებოდნენ მათ გადამრჩენ ქართულ დიასპორას.

ომის ზოგადი კონტექსტიდან გამომდინარე, შეგვიძლია ახსნა მოვუძებნოთ ებრაელთა მიმართ გერმანელთა დამოკიდებულების მკვეთრ ცვლილებას. 1941-1942 წლებში გერმანელებს სურდათ ქართველ კოლონიებთან და მათ წარმომადგენლებთან კარგი ურთიერთობის დამყარება. მიიჩნევდნენ, რომ საბჭოთა კავშირზე გაიმარჯვებდნენ და ანტიბოლშევიკური შესაქმნელად ქართველი წვევამდელების მიმართ ინტერესს იჩენდნენ. ამიტომაც მიდიოდნენ დათმობებზე.

კავკასიურ ფრონტზე გერმანელთა მარცხმა, სადაც 1943 წლის ზაფხულში გენერალმა ფონ კლეისტმა კურსკის ბრძოლა წაგო, მათი ბედი შეცვალა. გერმანელები ვერასდროს მოაღწევდნენ საქართველომდე, ვერც ჩრდილოეთ კავკასიამდე. ბრძოლებს აგებდნენ და დასავლეთ ევროპისაკენ იხევდნენ. გასაცვლელი ვალუტა მოქმედებაში აღარ იყო. ნაცისტები ქართველ ებრაელებს სხვა ებრაელების მსგავსად არასრულფასოვან გასანადგურებელ ადამიანებად მიიჩნევდნენ.

ქართველები ებრაელებს ფართოდ უღებენ თავის კარს

ქართველები ებრაელ თანამემამულეებს ინდივიდუალურადაც ეხმარებიან. თამაზ ნასყიდაშვილი კი ამბობს: „უთუოდ შემიძლია დავადასტურო, რომ პარიზის მე-15, უბანში სადაც ვცხოვრობდით, აგრეთვე დანციგის, დიუვალის, მორიონების, დომბასლის ქუჩებზე, ლეონ გიოტისა და მარსელ ტუსენის სკვერებში ომამდე კოპტაციით შეყვანილნი – ცენტრალური და აღმოსავლური ევროპის ემიგრანტები იყრიდნენ თავს. მრავალმა ჩვენმა ქართველმა მეზობელმა მისცა თავშესაფარი თანაუბნელ ებრაელს.

თამაზ ნასყიდშვილი იხსნებს რუსთა დახმარებასაც: „კარისკაცებმა კარგად იცოდნენ თუ ვინ ვის მალავდა, ესენი იყვნენ სამაგალითო სიკეთისა და მამაცობის ადამიანები – ზოგიერთი პოლიციელი, დასძენს იგი, აფრთხილებდა მათ მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ. ხშირი იყო კოლექტიური თავდაცვის მაგალითები“.

თანადგომის კიდევ ერთი მაგალითია ორჟესში, ლევილში პლატონ და ნადია სეგბისკვერაძეების სახლში არსებული ებრაელთა დროებითი კონსპირაციული თავშესაფარი.

– კარგად დამამახსოვრდა, ამბობს თამაზ ნასყიდაშვილი, ლევილში გადასახლებაში მყოფი ქართული მთავრობის მამულში გატარებული ზაფხული, 7-ოდე წლის ნიკიტა, და ერთი ხანდზმული წყვილი.

იხსენებენ აგრეთვე ერთი მეგობრის მამის – დავითის მიერ ვესინეტში ებრაელთა – „ორი პატარა გოგოს“ შეფარვის ფაქტს.

პროტექციის სხვა შემთხვევაა გერმანელი მაღალჩინოსნების მიერ გადა-ცემულ პატივცემულ ოშვეიცელებს რომ შეეხება, რომლებსაც დართეს პირა-დობის კონტროლის გავლის ნება.

თამაზის მამა, მიხეილ ნასყიდაშვილი, ელექტრო-ქიმიურ კომპანიაში მუშაობდა ინჟინრად, თავისი პროფესიონალური მოგზაურობისათვის იგი ფლობდა იმ საშვს, რომელიც ნამდვილი „სეზამი“ – იყო სასაზღვრო ზოლის გადასალახად, სადაც 1942 წლამდე განლაგებული იყო ებრაელთა თავშესაფარი. მისი ამ საშვით უსარგებლიათ წინააღმდეგობის წევრებს, ვინც დავალების შესასრულებლად მიდიოდა ან საჭიროებდა თავშესაფარს.

თამაზ ნასყიდაშვილის მეუღლეს ლიდას ჰქონდა უფლება თავისი უფროსი, ასთმით დაავადებული შვილი წაეყვანა ბურბულისა და მონდორის თერმული წყლებზე, რომლებიც თავისუფალ ზონაში მდებარეობდა.

ლიდა ჩემთან და ჩემს ძმასთან ერთად ოშვიცის სადგურიდან მგზავრობდა. მახსენდება, კონტროლის გავლის შემდეგ, უკანასკნელ წუთზე თუ როგორი სისწრაფით ჩამოვედით სამივენი ვაგონიდან და ვაგონის თაროზე დავტოვეთ საბუთები, ისე თითქოს კონვერტი ჩასრიალებულიყო „კუპეს“ – სარკის უკან, მაშინ ჩვენ შეგვცვალეს ებრაელი დედითა და მისი ორი შვილით“. თამაზი გადარჩენის ამ სცენაში მონაწილეობის მიღებას მეორედაც გეგმავდა.

ემიგრირებულთა შორის ურთიერთდახმარება ებრაელთა საკეთილდღეოდ მოქმედებას გულისხმობდა – იქნებოდა ეს ურთიერთდახმარება სპონტანური თუ ორგანიზებული ხასიათისა. შესაძლებელია ერთ დღეს იად ვაშემის ინსტიტუტმა ეს ჭეშმარიტი ქართველები იმ ადამიანთა სიაში ჩაწეროს, რომლებიც საკუთარი სიცოცხლის რისკი ფასად ებრაელები უდავოდ იხსნეს ნაცისტური დევნისაგან.

შესაძლებელია ებრაელ თანამემამულეთა ამ განსაკუთრებული გადარ-ჩენის შესახებ დაიწეროს თემა, რომელსაც მიხეილ ცომაია ითავებს და ეს იქნება „ამ ჟანრში ერთადერთი შემთხვევა მთელს ევროპაში“. საჭიროა გავარჩიოთ მსგავსი სიტუაციები, რომლებსაც, ლეონ ელიგულაშვილი კოპენჰაგენში 1996 წელს ჩატარებულ ხსოვნის დღეზე იხსენებს, სადაც ესწრება ისრაელის ელჩი საფრანგეთში:

– სამმა სახელმწიფომ გადაარჩინა თავისი ებრაელები: დანიელებმა, ბულგარელებმა და ერმა სამშობლოს გარეშე – საქართველომ.

ცენტრალური ევროპის ებრაელთა საწინააღმდეგოდ „მოი“-ს წინააღმდეგობის ორგანიზაციაში არცერთ ქართველ ებრაელს არ მიუღია აქტიური მონაწილეობა. პარიზის განთავისუფლების შემდეგ პოლიციის მოხსენებაში ვხვდებით დაპატიმრებულ ქართველ ებრაელთა გვარებს, რომლებმაც იატაკქვეშეთში დამალვას არჩიეს ნაცისტებს ჩაბარებოდნენ. ცნობილია, რომ საფრანგეთიდან 75.721 ებრაელი გაემგზავრა, 1100 ბავშვი იყო, 73000-დან კი უმრავლესობამ გაზის ოთახებში დაასრულა სიცოცხლე. 1945 წელს ვიშის პოლიციისა და ფრანგული ჟანდარმერიის მიერ განხორციელებულ დაპატიმრებების მიხედვით ვერ ვიმსჯელებთ პოლიციის ინსპექტორის უხამსი საქციელის მიზეზებზე.

სხვათა შორის მორის რაჟსუფთან საფრანგეთის ებრაელთა კავშირის შუამდგომლობა მიზნად ისახავდა ასოციაციაში სოციალურად მყარ მდგომარეობაში მყოფ პირთა მიღება. „ლეგიტიმაციის ფურცლები“ ისევე აღაშფოთებდნენ ქართველ ებრაელ პატიმრებს, როგორც სხვა ებრაელებს, მაგრამ 1944 წელს განურჩევლად ყველა დააპატიმრეს: მდიდრები, ღარიბები, უცხოელები, თუ ფრანგები.

ერთი შეხედვით, თითქოს ქართველი ებრაელები განსხვავებულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ და ეს აიხსნება იმით, რომ ისინი უპირველეს ყოვლისა, ცდილობდნენ გადაერჩინათ თავიანთი ჯგუფის წევრები და ასობით ებრაელის გადარჩენის საქმეში გამოიწვრთნენ კიდეც, იმ ებრაელთა გადარჩენაში, რომლებიც მათი სოციალური ფენიდან იყვნენ, რაც ნამდვილად ქართველი პოლიტიკოსების დამსახურებაა.

ვერც ერთნი და ვერც მეორენი წინასწარ ვერ განსაზღვრავდნენ იმ დინამიკასა და ფასს, რომლის გადახდაც მოუხდათ ქართველ თანამემამულეებს, რომლებიც ქართულ ლეგიონში ჩაეწერნენ. თავმოყვარეობამ და ღირსების გრძნობამ გააბედინათ ხელი აეღოთ მისალმების არსებულ მანერაზე. მხოლოდ ქართველი ებრაელები თუ გაბედავდნენ ადოლფ ჰიტლერის საწინააღმდეგო პოზიციის გამოხატვას და განცხადებას, რომ ისინი იყვნენ საფრანგეთის ებრაელთა კავშირიდან.

გრიგოლ ფერაძე: “წარმატებული ერუდირებული მოღვაწე“

ქართულ კოლონიაში მართლმადიდებლური სამღვდელოების ორმა წარმომადგენელმა გამოხატა აქტიური სოლიდარობა ყველა ებრაელის მიმართ. მათი მოკლე ბიოგრაფიული ცნობები კეთილგანწყობას იწვევს და გადასახლებაში მათ თავს გადახდენილი ამბებით ისინი მკითხველს აღაფრთოვანებენ.

1921 წლიდან, ქართველების დიდი უმრავლესობა მართლმადიდებელი იყო. საკმაოდ მალე გამოვლინდა ეკლესიის აუცილებლობაც, რომელსაც უნდა ეპასუხნა დიასპორის კულტურული მოთხოვნილებებისათვის. გრიგოლ ფერაძემ შექმნა და ორგანიზება გაუწია წმინდა ნინო კაბადოკიელის ქართულ სამრევლოს. საქართველოს სასწაულმოქმედმა მფარველმა, 326 წელს მეფე მირიანი გააქრისტიანა, სწორე ეს არის თარიღი მისი ქადაგებისა და საქართველოს ქრისტიანობაზე მოქცევის დასაწყისისა.

სამწყსო, რომელიც დადეშქელიანმა დაიფუძნა, ასამბლეაში ოფიციალურად 1929 წლის 21 ივლისს გაფორმდა, მაგრამ 1931 წლის მაისამდე მოძღვრის გარეშე იარსება, სწორედ იმ დრომდე, როდესაც წმ. ნინოს სახის სამწყსოს წინამძღვრად მამა გრიგოლ ფერაძე იქნა არჩეული.

1931 წელს მან ჩაატარა თავისი პირველი ლიტურღია და ქადაგება, რომელიც პოეტურად და რითმულად გაზავებული რელიგიური და მებრძოლი სულისკვეთებით იყო გაჟღენთილი, რაც იყო ერთგვარი მოწოდება, „შექმნი-ლიყო ლოცვისა და თანადგომის ადგილი ქართველებისათვის, რომლებიც ბაბილონის სანაპიროებისაკენ განიდევნენ.“ ეს იყო მღელვარე მოწოდება, რომელიც განსაკუთრებულად მიმართული იყო გადასახლებულთათვის, რომ-ლის მიზანიც იყო მათი სულიერი და პატრიოტული აზრით შთაგონება: სათუთად შეენახათ „ქართული სულის საუნჯე“. იმ მანკისაგან აერიდებინათ თავი, რაც „ადამიანურობისა და ღირსების გრძნობის არქონას“ გულის-ხმობდა.

წმ. ნინოს ეკლესია, რომელიც მაშინ კონსტანტინეპოლის პატრიარქის ქვეშევრდომობაში იმყოფებოდა, იყო და დარჩა ერთადერთ ქართულ სამწყსოდ საზღვარგარეთ. მამა ფერაძემ იგი უმალ შეამკო იმ ინტელექტუალური მშვენებით, რომელიც 4 წლის განმავლობაში ქვეყნდებოდა და მოიცავდა მეცნიერულ ნაშრომებს, ეს იყო წელიწადეული – სახელწოდებით „ჯვარი ვაზისა“. გამოცემის რედაქტორი თავად გრ. ფერაძე იყო.

გრიგოლ ფერაძემ ვარშავაში წარმატებით გაიარა რა თეოლოგიის კურსი, პასტორალურ მოღვაწეობა დაისახა მიზნად, არდადეგების დროს კი დაკავებული იყო თავისი მრევლით. ამგვარად, შეგვიძლია წავიკითხოთ მისი უკანასკნელი ხელნაწერი წმ. ნინოს სახელობის ჩანაწერებში, რომელიც დათარიღებულია 1939 წლის 1 იანვრით. თავისი განათლებისა და ერუდიციის წყალობით, ის ხშირად მოგზაურობდა საზღვარგარეთ, მაგრამ ის იყო პარიზელი ქართველი, რომელმაც მთლიანად თავი მიუძღვნა თავის თანამოაზრეებს და თანამემამულეებს, ისეთივე დევნილებს, როგორიც თავად იყო.

როგორც პასპორტის ჩანაწერიდან ვიგებთ, გრ. ფერაძე დაიბადა 1899 წლის 13 სექტემბერს, სოფ. ბაკურციხეში, კახეთში. ჯერ კიდევ ბავშვი იყო, როდესაც მამა გარდაეცვალა, აღზარდა დედამ – მარია სამადალაშვილმა. შწავლა ჯერ თბილისის მცირე სემინარიაში დაიწყო, 1918 წელს კი დიდი სემინარიისა პირველი კურსდამთავრებულია.

ასეთმა წარმატებამ რუსეთის იმპერიაში თეოლოგიის აკადემიაში მოღვაწეობის საშუალება მისცა, 1864 წელს ცარისტულმა რეჟიმმა ქართული ფაკულტეტები დახურა. რუსული რევოლუციის ტალღამ და საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის აღდგენამ გრ. ფერაძე ლიტერატურისა და ისტორიის შესასწავლად განაწყო და თბილისის უნივერსიტეტის კარი შეაღო.

იქ იგი შეხვდა არქიეპისკოპოსს კორნელი კეკელიძეს, ძველი ქართული ლიტურღიის სპეციალისტს. ამ ურთიერთობამ გავლენა იქონია მის მომავალ არჩევანზე. სამხედრო სამსახურისა და პედაგოგიური მოღვაწეობის შემდეგ უნივერსიტეტში დაბრუნდა. 1921 წელს პატრიარქმა ამბროსი I-მა იგი ბერლინში თეოლოგიური განათლების სრულყოფის მიზნით გააგზავნა.

გარდა იმ წარმატებისა, რომელიც მას ამ სფეროში ხვდა, მან აგრეთვე გასაოცარი მასშტაბის ცოდნა მიიღო ინგლისურ, გერმანულ, ბერძნულ, ლათინურ, პოლონურ ენათმეცნიერებებში, ქართულისა და რუსულის გარდა, სწავლობდა აღმოსავლურ ენებსაც: ებრაულს, სირიულს, არაბულსა და სომხურს.

ნაწყვეტი საფრანგეთში მცხოვრები ქართველი ემიგრანტის რევაზ ნიკოლაძის წიგნიდან

(დასასრული იქნება)

სენსაციონალური მოგზაურობა თელ-ავივიდან თელავში

მოგზაურის ჩანიშვნები

ვიქტორია მარტინოვა

თბილისამდე დათვლილი დღეები რჩებოდა ნაცნობები შეთქმულებივით მელაპარაკებოდნენ დღევანდელ საქართველოზე.

– იქ საშიშია!

– იქ არაა ელექტროენერგია, არ არის ცხელი წყალი!

– იქ სიღარიბეა და ყველაფერი ისე შეცვლილია, ვერც იცნობ.

ნაცნობი საქართველოში ჩემთვის არაფერი იყო, არასოდეს ვყოფილვარ საბჭოთა საქართველოში, მაგრამ ეს ქვეყანა ჩემში ნოსტალგიურ იმიჯს იწვევდა: თავში დანელიასა და აბულაძის ფილმების კადრები და ნიკო ფიროსმანის ამაღელვებელი სურათები მიტრიალებდა, მეხსიერებაში გაისმოდა ლირიკული „სულიკო“, „თბილისო“ და თვალწინ მთელი თავისი სიმშვენიერით მიტრიალებდა მოკრძალებული საბჭოთა კურორტების მშვენიერება, რომელიც ახლობლებისგან მსმენოდა: დასვენება „ველურად“ დამსვენებელთათვის საწოლი დღე-ღამეში ორ მანეთად. მაგრამ როგორია შავი ზღვის სანაპიროს სიმშვენიერე, ხილი, პალმები და კიპაროსები! – მე ყოველთვის გული მწყდებოდა, რომ იმ პერიოდში ვერ მოვასწარი საქართველოს მონახულება. და აი, ამისრულდა! საქართველოს საელჩომ ისრაელში ისრაელის მასმედიის ჟურნალისტები საქართველოში მიგვიწვია. ჩემს კოლეგებს არანაირი წარმოდგენა არ ჰქონდათ საქართველოზე და სამოგზაუროდ აბსოლუტურად განსხვავებული გრძნობით გაემგზავრნენ. „დღეს ყველაზე საინტერესო ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან აღმოსავლეთი ბლოკია – თქვა მეორე არხის ცნობილმა მიმომხილველმა იეჰუდ იარმა – საინტერესოა ყველაფერი. როგორ თავისუფლდება სახელმწიფო კომუნიზმის ნარჩენებისგან, როგორ გადადის ნორმალურ წყობაზე, როგორ იცვლება მენტალობა, ახალი როგორ ებრძვის ძველს. და ბოლოს, ჩვენ ისრაელელთა მესამე, მეოთხე, მეხუთე თაობას მოგვეცა საშუალება გვენახა – საიდან მოდის ჩვენი ქვეყნის ესა თუ ის ტრადიცია. ბევრი ისრაელელის ფესვები სწორედ რუსეთთან, უკრაინასთან, საქართველოსთანაა დაკავშირებული. ახლა ამას კანით ვგრძნობ. ჩვენ პირველად მოგვეცა საშუალება იმ ძირებს შევხებოდით, რომელზეც ჩვენი ქვეყანა ისრაელი დგას. აი, რა არის საოცარი!“

„მაინტერესებს აღმოსავლეთ ბლოკის ქვეყნების ეკონომიკური პროცესები“, – დაგვეთანხმა „მაარიკის“ რეპორტიორი ური ბინდერი.

„მე ტურისტული მარშრუტები მაინტერესებს, რომლებიც ისრაელელებს ჯერ არ გაუელიათ.

– დაამატა გაზეთ „ჰაარეცის“ ჟურნალისტმა მოშე გილადიმ.

და ჩვენ წავედით!

დავეწიოთ და გავუსწარით რუმინეთს

დროის მაგალითი: დღევანდელ საქართველოში ინგლისური ენა თანდათანობით დევნის რუსულ ენას. ახალგაზრდებს დღეს სულ უფრო მეტად უჭირს რუსულ ენაზე პასუხის გაცემა, უპირატესობას ინგლისურ ენას ანიჭებენ. კიდევ მაგალითი – ახალგაზრდები და მათზე უფრო ახალგაზრდა ადამიანები ქვეყნის სათავეებში მნიშვნელოვან პოზიციებს იკავებენ. პრეზიდენტი ააკაშვილი სახელმწიფოს აშორებს „უდაბნოს თაობას“ – მათ, ვინც ახალგაზრდული და მოწიფული წლები საბჭოთა წყობაში გაატარეს. მას სჯერა, რომ ქვეყნის ორიენტაციის შეცვლა მხოლოდ იმ ახალგაზრდებს შეუძლიათ, რომლებმაც არ იციან რა არის მონობა, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი ოცდახუთი წლისაა, იგი მთელ ევროპაში ყველა ახალგაზრდა მინისტრია, თბილისის მერი ოცდაათ წელზე ცოტა უფრო მეტისაა.

და ბოლოს, მესამე მაგალითი – უცხოელები სახელმწიფოში მნიშვნელოვან თანამდებობებს იკავებენ. მე იმ მოწვეულ პირთა თაობაზე ვსაუბრობ, რომლებიც ცდილობენ გაამარტივონ ის თანამდებობრივი სამუშაო რომელიც სახელმწიფოს სტრატეგიული მიმართულებისთვისაა მნიშვნელოვანი. ამას განეკუთვნება ტურიზმი. ქვეყანას, რომელსაც არ გააჩნია ბუნებრივი გაზი და ნავთი, მაგრამ ლამაზი და მრავალფეროვანი ბუნება აქვს. ეკონომიკის ძირითადი იმედი ტურიზმია. საბჭოთა ეპოქაში შემოსავლის ძირითადი წყარო სწორედ ეს იყო. მაგრამ მაშინ საქართველო გარანტირებულად იღებდა წელიწადში ოთხმილიონ ტურისტს. მას რეალური კონკურენტი არც ჰყავდა. დასასვენებელი სახლები და კერძო საცხოვრებლები ივსებოდა იმ ტურისტებით, ვისაც გათბობა და ეგზოტიკური ხილის ჭამა სურდა, სახლების მფლობელები სასახლის ფასად აქირავებდნენ. ახლა სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა: ბოლო წლებში საქართველოში წელიწადში თხუთმეტი ათასზე მეტი ტურისტი ჩამოვიდა, უმრავლესობა ახლობლებისა და მეგობრების მოწვევით. საქმეს ხელს უშლიდა სასტუმროების არქონაც. ბოლო პერიოდში სამი ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო აშენდა, გაჩნდა აგრეთვე რამდენიმე პატარა კერძო სასტუმროც, სადაც რვიდან თორმეტამდე ნომერია, ნომრები თანამედროვე კომფორტით არის აღჭურვილი და ძველი საქართველოს კოლორიტს ინახავენ. მათ შორის ერთ-ერთში – „კოპალაში“, რომელიც ჩეხოვის ქუჩაზე მდებარეობს ჩვენ გავჩერდით. (იქ ცხელი წყალი შეუზღუდავი რაოდენობით მოედინება). კარგი სასტუმროები მაინც ცოტაა. ამიტომ სანუკვარი ოცნებაა – დავეწიოთ და გავუსწროთ რუმინეთს. ენერგიული, მხიარული კარინ სტეინმეტცერი, ტურიზმის სამინისტროს თანამშრომელი, თითქმის ლეგენდაა. პირველად მას ვეცნობით ახალი ტურისტული პროგრამის პრეზენტაციის წინ კარენი უარის ნიშნად თავს აქნევს: რუსულ ენაზე არ ვლაპარაკობო. არა, ის არ არის ერთ-ერთი ახალი ქართველთაგანი. იგი გერმანელია, მიუნხენში დაიბადა, იქვე დაამთავრა უნივერსიტეტი ორი სპეციალობით: მარკეტინგი და ტურიზმი. მისი პროფესიაა ტურიზმის განვითარება ეკონომიკურად გარდამავალ ქვეყნებში. თბილისში კარენი საერთაშორისო კონკურსში გამარჯვების შემდეგ მოხვდა. ნასპორაში მცხოვრები ებრაელებისთვის?

– რა თქმა უნდა, ისრაელელები ჩვენი ერთ-ერთი ძირითადი იმედია, ისინი ცნობისმოყვარენი და ენერგიულები არიან. მათ ძნელად მისაღწევ ადგილებში გადაადგილებაც შეუძლიათ. მათ უკვე დაიწყეს გუდაურის სათხილამურო ტრასის ათვისება. ზოგიერთი რუსი ისრაელელი პუშკინისმიერ ხოტბაშესხმულ თბილისის გოგირდის აბანოებს ანიჭებს უპირატესობას. ჩვენ ახლა ვადგენთ მარშრუტს საქართველოში არსებული სინაგოგების მიხედვით. ტურისტულ რუკებზე ზოგიერთი მათგანი უკვე აღვნიშნეთ. გადაეცით ისრაელელებს, რომ ისინი საქართველოში ყველაზე უფრო სასურველნი არიან.

ჯაზბეგის პირველი სტუმრები

ჯაზბეგში გამგზავრება თავდაპირველად გადადეს, მთებში ზვავსაშიშროება იყო მოსალოდნელი. ტრანსპორტი გზებზე რამდენიმე საათი იყო გაჩერებული, ერთი სატვირთო მანქანა გადაბრუნდა კიდეც. ყველაფერი ეს გადმოგვცეს, მაგრამ რომელ ისრაელელს არ უყვარს თეთრი თოვლი, მსუბუქი ყინვა და მზე?

საქმიანი შეხვედრები, საუზმე, მაღაზიებში სიარულიც გადავდეთ და დადექალაქიდან ჯაზბეგს გავემგზავრეთ. პირველი საათნახევარი კარგად ვიარეთ, შემდეგ გზა ცოტა გაფუჭდა. რეკომენდირებული იყო ჯიპებით მგზავრობა. ჩვენთვის სპეციალურად შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოყო მანქანა და სუპერპროფესიონალი მძღოლი. ჯაზბეგი სახელმწიფოს პრიორიტეტების ნუსხაშია შეყვანილი და აქ ახლო მომავალში იგეგმება ახალი გზის დაგება. ისრაელელი ჟურნალისტები ამ ცნობას აპლოდისმენტებით მიესალმნენ.

ჩვენს წინ მომაჯადოებელი პეიზაჟი იშლება. მწვერვალები თეთრშია გახვეული, თოვლი თეთრად ბრწყინავს. აქეა პაწაწინა ხის სახლები ფერდობებზე მობორიალე ცხვრის ფარა.

პასტორალური იდილია და უცებ ჩვენს ახლოს გვესმის ებრაული სიტყვები. ხომ არ გვეჩვენება? არა, არ მოგვჩვენებია. ჩვენს გვერდით ახალგაზრდა წყვილი ანათი და ამირი არიან. ისინი ჰერცლიიდან საქართველოში თაფლობის თვის გასატარებლად ჩამოსულან.

– მეგობრებო, აქ როგორ მოხვდით?

– რაღაც არაჩვეულებრივს ვეძებდით და აი, ვიპოვეთ. ვმოგზაურობთ ავტოსტოპით, ხალხს მინიშნებით ვაგებინებთ ყველაფერს, მაგრამ იმდენი და ასეთი გემრიელი არასოდეს გვიჭამია.

– ჩვენ თქვენს სადღეგრძელოს ვიტყვით – ჰპირდება მოშე გილადი, ვიპოვით სახლს, სადაც ღვინოს შემოგვთავაზებენ და გპირდებით თქვენი ბედნიერების სადღეგრძელოს შევსვამთ. მაგრამ მანამდე ამ სახლამდე მისასვლელი გზა უნდა ვიპოვოთ: სახლში გემრიელი სადილი გველის. ვბრუნდებით ბილიკით და ადგილობრივი მოსახლეობისგან ვცდილობთ გზის გაგნებას. ქარაგნიდან დიდი რუსული ასოებით აწერია „ხინკალი, ქაბაბი“, ჩვენი მანქანაც ამუხრუჭებს, ხმაზე დაბამბულ ტანსაცმელში გამოწყობილი ორი ქალბატონი გამოდის ჩვენს კითხვაზე, როგორ მივიდეთ ჩვენთვის საჭირო ზურაბის სახლამდე, ისინი პასუხად ხელებს გვიქნევენ და ყვირიან „აქეთ, აქეთ“. მათთვის ცოდვაა იშვიათად შემოფრენილი ტურისტის გაშვება, მაგრამ ჩვენი იქ შეტყუება ადვილი არ არის. პროვოკაციას არ წამოვეგეთ და გზა გავაგრძელეთ მოცემული მიმართულებით. გზის გაგრძელება მანქანით უკვე შეუძლებელი იყო, გზას ფეხით ვაგრძელებთ, თბილ, მზიან გზას.

…ზურაბი მთელი ცხოვრება გერგეთში ცხოვრობს, ის ორმოცდაათ წელზე მეტისაა. უვლის თხებს, ცხვრებს, აკეთებს ყველს. ქალები სტუმრებისთვის ხინკალს ამზადებენ, წვავენ ქაბაბს, იგი განსაკურებით ტყემლის სოუსით და სახლში გაკეთებული ბროწეულის წვენით არის გემრიელი.

სტუმრები აქ საკმარისზე მეტი იყვნენ. ახლა ასე არაა. ზურაბს ახალ პირობებთან უწევს შეუგება. მან ნახევარი წლის წინათ სახლი მოთხოვნის შესაბამისად გადააკეთა. მოხერხებული მყუდრო, კომფორტული ოთახები აქვს, ჩვენ თბილ მისაღებში სკამებზე ვზივართ, ფანჯრებიდან თოვლი მოჩანს. ჩვენს ზურგს უკან ბუხარში შეშა იწვის.

– ამ ზაფხულს ჩვენთან 50 ტურისტი იმყოფებოდა – ამაყად ამბობს ზურაბი. – სამწუხაროა, რომ წელს თოვლი ადრე მოვიდა, თორემ კიდევ მოვიდოდნენ. ზამთრის სეზონზე თქვენ პირველები ხართ.

კიდევ გვსურს აქ გაჩერება, მაგრამ ჩვენი გარიგი ამის საშუალებას არ იძლევა.

უფრო მეტი უნდა დალიო

კახეთის დედაქალაქში, უძველეს ქალაქ თელავისკენ მივემგზავრებოდით. თელავი ალაზნის ხეობაზეა გადაჭიმული. ეს მხარე მეღვინეობითაა ცნობილი. სწორედ აქედანაა „წარმოშობით“ ცნობილი ღვინო „წინანდალი“, რომელიც საბჭოთა ნოსტალგიურ სიაში შედის. ქალაქში დღეს ღვინოს დღესასწაულია. მაგიდებზე აწყვია სხვადასხვა სისქის ჩურჩხელები, არომატული ყურძენი, მსხალი, საზამთრო, მზესუმზორა, ყველაფერი ეს სპეციალურად სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული ჟურნალისტებისათვის. ქუჩაში მწვადებს წვავენ, ხინკლისთვის ცომს აბრტყელებენ, შემდეგ სტუმრები სხდებიან ფაცხებში ხეივნის ქვეშ და იწყებენ ჭამას და ღვინის სმას. ირგვლის ისმის ქართული სიმღერა. ბავშვები „ლეკურს“ ცეკვავენ.

და აი, ბიზნესის კეთება:

ბიზნესის მასშტაბები სხვადასხვაა, დაწყებული ძალიან მცირედან. მთელი ქალაქის ერთადერთი ტუალეტის დაბალი კიბის საფეხურზე მოხუცი ქალი ზის. ისე ზის ტუალეტში შესასვლელ გზას ხერგავს – ჯერ ლარი მომეცითო. შეგახსენებთ, ერთი ლარი უდრის 0.90 დოლარს.

– ეიზე ხედკჰანი (რა თავხედია!) – ამბობს ერთ-ერთი ჩვენი ჟურნალისტი. ეს არის ბიზნესი წარსულის, საბჭოთა ეპოქის ნაწილი ახლანდელი ბიზნესმენები სხვა გზებს ეძებენ. კულტურის სახლის დარბაზში ღვინოს გამოფენაა. ვჩერდებით Telliani valley-ის სტენდთან. ავსტრალიელი ექსპერტი სინჯავს წითელ ღვინოს „მუკუზანი“ და აღფრთოვანებული ჩურჩულებს: „არაჩვეულებრივია!“ ეს კერძო წარმოება ამ ბოლო ხანს კარგად განვითარდა. ახლა წელიწადში მილიონზე მეტ ბოთლ ღვინოს უშვებს. ეს ღვინო ჯერჯერობით საზღვარგარეთ მხოლოდ უკრაინაში გადის. მთავარმა ღვინის მწარმოებელმა სტაჟირება კალიფორნიაში გაიარა.

მე ღვინის ლაბორატორიის გამგეს მარინა ნაციბაშვილი ვესაუბრები:

– ვიცი, რომ ჩვენი ღვინოები ძალიან კარგია. მაგრამ მის გასატანად საჭიროა ინვესტიცია. ჯერჯერობით ფულს ძირითადად რუსეთში მცხოვრები ქართველები დებენ. ისრაელელები ცოტაა.

კვლავ სადღესასწაულოდ მორთულ მოედანზე ვბრუნდები. ორი ჩოხაში მორთული ხანჯლიანი კაცი მუზეუმის შესასვლელში პოზიორობენ უცხოელი კორესპონდენტები მათ გარს ეხვევიან. აქ დღეს ისეა, როგორც კემპდევიდში – ჩურჩულებს ვიღაც ჩვენი ჯგუფიდან. ერთი ხელს მიწოდებს: გურამ ურჩხიშვილი მუზეუმის დირექტორი.

– როგორ ცხოვრობთ, გურამ?

– მთელი ცხოვრება სკოლაში ისტორიას ვასწავლიდი, ახლა კი მუზეუმს ვხელმძღვანელობ. მაინც ასაკის გამო, აქ, მუზეუმში მუშაობა უფრო მშვიდია და ცოტათი უფრო მეტს გიხდიან, თუმცა, კი დღეს სკოლებშიც მოუმატეს მასწავლებლებს ხელფასი, მაგრამ რა თქმა უნდა, საცხოვრებლად არაა საკმარისი. ვაჭრობა გვეხმარება სოფლიდან საქონელი მიაქვთ ქალაქში, ქალაქიდან სოფელში, ყველა ყველაფრით ვაჭრობს, რაღაცნაირად გააქვს თავი. ჩემი მეგობრები ისრაელში გაემგზავრნენ და კარგადაც მოეწყვნენ. ძალიან მწყინს, რომ ამდენმა ებრაელმა დატოვა საქართველო, ჭკვიანი ხალხი არ გვყოფნის, რომლებსაც საქმის ნიჭი აქვთ.

და კიდევ გეტყვით: მაქვს ოცნება. თუ ისრაელამდე ჩავაღწევ და თელ-ავივში მოვხვდები, ჩავთვლი, რომ ჩემი მისია შევასრულე. ფული უნდა მოვაგროვო გასამგზავრებლად. არასოდეს ასე შორს არ ვყოფილვარ.

…

დავბრუნდი ისრაელში, და როგორც მოვილაპარაკეთ, მეგობრებს ანგარიში ჩავაბარე.

– უმართლებს ხალხს! – წამოიძახა ერთმა ახლობელმა. – ის იყო თელავში! მე კი უკვე 10 წელია თელ-ავივში ვზივარ, როცა ნოსტალგია მიჰყრობს, ვუყურებ „მიმინოს“. თუმცა, უკვე დიდი ხანია, რაც ზეპირად ვიცი. როგორც სულელი, მაინც ვუყურებ. მისმინე, დაწვრილებით მიამბე, იქნება მეც წავიდე იქით.

რას ვკითხულობთ ამ კვირაში?

რუბრიკას უძღვება
საქართველოს მთავარი რაბინი
არიელ ლევინი

ითრო

მაშ ასე, ეგვიპტიდან გამოსული ებრაელები სამი თვის შემდეგ „ამ დღეს“, როგორც თორა ბრძანებს, მივიდნენ სინაის უდაბნოში. რატომ „ამ დღეს“ და არა „იმ დღეს“, გრამატიკის კანონებიდან გამომდინარე. ეს იმიტომაა, რომ თორის სიტყვები ეკუთვნის თითოეულ ებრაელს, თითქოს მან ის მიიღო „ამ დღეს“, ანუ დღეს, და არა „იმ დღეს“, სამი ათასი წლის წინათ.

როგორც ცნობილია, ებრაელებმა თორა მიიღეს უდაბნოში – იმ ადგილას, სადაც არავინ ცხოვრობს და, რომელიც არავის ეკუთვნის. ჩვენ ზუსტადაც არ ვიცით რომელ დღეს (სივანის თვის ექვს ან შვიდ რიცხვში). ეს ყველაფერი კი საჭირო იყო იმისათვის, რომ ვიცოდეთ, რომ ჩვენი წმინდა თორა არაა დამოკიდებული და არ იცვლება დროსა და ადგილზე. და ყოველ ჩვენთაგანს, სადაც არ უნდა ცხოვრობდეს, შეუძლია ისწავლოს და შეასრულოს მისი კანონები.

მაშ ასე, ებრაელი ხალხი დგას სინაის მთასთან, და სუნთქვაშეკრული ისმენს ათ მცნებას, თორის საფუძველს:

1. მე ვარ მბრძანებელი ღმ-რთი, რომელმაც გამოგიყვანა შენ ეგვიპტიდან.

ეს არის ღმ-რთის რწმენის მცნება. საინტერესოა ის, რომ პირველ მცნებაში საუბარია არა იმაზე, რომ გამჩენმა შექმნა ცა და დედამიწა, არამედ იმაზე, რომ მან გამოიყვანა ებრაელები ეგვიპტიდან.

ამით, რა თქმა უნდა, ხაზგასმულია ორი ძირითადი რამ: 1. ის, რომ მან არა უბრალოდ შექმნა სამყარო, არამედ მართავს მას და მონაწილეობს მის ფუნქციონირებაში. 2. გამჩენის განსაკუთრებული დამოკიდებულება ებრაელ ხალხთან, რაც გამოიხატება იმით, რომ პირველივე მცნება აკავშირებს მას ებრაელ ხალხთან.

2. და ნუ გეყოლება შენ სხვა ღმერთები.

თითქოს პირველ მცნებაში ყველაფერია ნათქვამი: გვწამდეს ღმ-რთი. მაგრამ ადამიანს შეუძლია სწამდეს ღმ-რთი და კიდევ რაიმე სხვა, რომელიც, ღმ-რთმა დაგვიფაროს და, არ ექვემდებარება გამჩენის ძალას: ბედი, წარმატება და წარუმატებლობა, თანავარსკვლავედები და მათი გავლენა სამყაროზე. ყველაფერი ეს ასევე აკრძალულია.

3. არ წარმოსთქვა გამჩენის სახელი ტყუილ-უბრალოდ, ანუ არ დაიფიცო გამჩენის სახელი ტყუილზე, და ნუ წარმოსთქვამ მის სახელს საჭიროების გარეშე(ლოცვისა და თორის სწავლის გარდა).

4. თან გახსოვდეს შაბათი დღე და თან დაიცავი იგი, რადგანაც გამჩენმა ექვსი დღის განმავლობაში შექმნა ცა და დედამიწა, მეშვიდე დღეს კი დაისვენა. დაემსგავსე გამჩენს და დაამტკიცე შენი მისდამი რწმენა იმით, რომ დაიცავ შაბათს.

5. პატივი ეცი მამას და დედას შენსას. და, მას, ვისაც არა აქვს მადლიერების გრძნობა იმ ადამიანების მიმართ, რომელთაც აჩუქეს მათ სიცოცხლე, გამჩენის მიმართაც არ ექნება არავითარი გრძნობა.

7. არა იმრუშო

8. არა იქურდო

9. ნუ იქნები ცრუ მოწმე

10. ნუ ინდომებ ნურაფერს, რაც ეკუთვნის შენს მოძმეს: ნურც სახლს მისას, ნურც ცოლს მისას, და ნურც სხვას რაიმეს მისას.

თითქოს უცნაურია, პირველი ცხრა მცნება ადამიანის ქმედებებს ეხება, მეათე კი „ნუ ინდომებ“, მაგრამ მეათე მცნებას აქვს კოლოსალური მნიშვნელობა. მისი არშესრულებით შეიძლება არ დავიცვათ წინა ცხრა მცნება. და ეს რომ არ მოხდეს, ყოველმა ჩვენთაგანმა უნდა იფიქროს, რომ ყველაფერი, რაც გაგვაჩნია და რაც ჩვენ მოძმეს ეკუთვნის, გამჩენისაგანაა. ამაში არის უმაღლესი სამართალი, რის არსსაც ჩვენ ყოველთვის ვერ ვხვდებით.

თუ ადამიანი შეეცდება ჩაწვდეს და გაიგოს მცნებათა არსი, ის არასოდეს დაარღვევს არც ერთს ამ ათი მცნებიდან, ამით კი ყოველთვის გამჩენისაგან დალოცვილი იქნება. როგორც ამბობდა დავიდ ამელეხი (მეფე): ყრმა ვიყავ, უკვე დავბერდი, მაგრამ არასოდეს მინახავს გამჩენისაგან მიტოვებული წმინდანი და მისი შთამომავალი სარჩოს მათხოვარი.“

ღმერთმა ქნას, რომ საქართველოს ყოველი ებრაელი იცავდეს ათ მცნებას, თორის საფუძველს, იყოს გახარებული, ბედნიერი, ჯანმრთელი და მატერიალურად უზრუნველყოფილი.

חדשות מישראל
ისრაელის ამბები

წყალი საკმარისი არ არის

კომპანია „მეკოროთის“ შეფასებით, ამ სეზონის ბოლოს წყლის რაოდენობა, რომლითაც ივსება კინერეთის ტბა, აუცილებელი წლიურის ოდენობის 42% იქნება.

ზამთრის დასაწყისიდან კინერეთმა სულ რაღაც 30 მილიონი კუბურიმეტრი წყალი მიიღო, რაც წლიური საზომის ნახევარზე ნაკლებია.

ეკოლოგიის მინისტრის გიდეონ ეზრასადმი მიწერილ წერილში ეკოლოგიის სამინისტროს მთავარმა სწავლულმა იშაიაჰუ ბარ-ორმა აღნიშნა: დედამიწაზე კლიმატის შეცვლის გამო მომდევნო წლებში ზამთრის წვიმები თანდათან შემცირდება და ისრაელში წყლის რესურსები კატასტროფულად მცირე იქნებაო.

– ცხოვრების დონის ამაღლებისა და მოსახლეობის რაოდენობის ზრდის გამო გაიზარდა წყლის მოხმარება – წერს დოქტორი ბარ-ორი. უკვე რამდენიმე წელიწადია ისრაელში წყლის ყველა წყარო მაქსიმალურად გამოიყენება, მიწისქვეშა წყაროები კი არასაკმარისად ივსება იმის გამო, რომ შემცირდა წვიმები. ნიადაგში გროვდება სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნარჩენები, რაც წყალს აბინძურებს. მხოლოდ ამ ზამთარს დახურული იქნა 160 ჭა – მათი წყალი დაბინძურებული იყო.

ეკოლოგიის მინისტრმა გიდეონ ეზრამ კი განაცხადა:

– სახელმწიფო ბევრს არაფერს აკეთებს იმისათვის, რომ გვქონდეს წყლის მარაგი.

მაზუზი დილემის წინაშე

წინა კვირას, 17 იანვარს ისრაელის პოლიციის ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის განყოფილების თანამშრომლები შეუდგნენ ბანკ „ლეუმის“ პრივატიზაციის გამოძიებას. ვარაუდობენ, რომ პრივატიზაცია კანონის დარღვევით ჩატარდა. ამ საქმეში ერთ-ერთ ეჭვმიტანილად მთავრობის მეთაური ეჰუდ ოლმერტი ითვლება. „ლეუმის“ პრივატიზაციის ჟამს იგი ფინანსთა მინისტრი გახლდათ.

პოლიციელებს განზრახული აქვთ მიიღონ ჩხრეკის ორდერები და დაიწყონ მოწმეთა და ეჭვმიტანილთა დაკითხვა. პრემიერ-მინისტრს, ალბათ, ძიების ბოლოს დაჰკითხავენ – მაშინ როდესაც გამოიკვეთება მისი როლი პრივატიზაციის საქმეში.

ადვოკატმა იოსი ფუქსმა მთავრობის იურიდიულ მრჩეველს სთხოვა ეჰუდ ოლმერტი დროებით გადააყენოს სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისაგან – სისხლის სამართლის საქმის გამოძიების გამო. ფუქსი თავის წერილში აღნიშნავს: არსებობს იჭვი, რომ ეჰუდ ოლმერტმა ძალიან სერიოზულად დაარღვია კანონი, ბოროტად გამოიყენა სამსახურებრივი მდგომარეობა ფინანსთა მინისტრის მოვალეობის შესრულებისას.

თუ მაზუზი ფუქსის თხოვნას ყურად არ იღებს, ფუქსი, ალბათ, უმაღლეს სასამართლოს მიმართავს.

გენერალური შტაბის უფროსი გადადგა

ლიბანთან მეორე ომის დამთავრებიდან ხუთი თვის შემდეგ გენერალური შტაბის უფროსი დან ხალუცი თანამდებობიდან გადადგა. დან ხალუცის გადადგომას ომის დამთავრების დღიდან თხოულობდა ისრაელის მოსახლეობის მეტი ნაწილი. გენშტაბის თანამდებობაზე მისი მოღვაწეობის შესასწავლად შექმნილი გახლდათ კომისია, რომლის მუშაობის დამთავრებასაც დან ხალუცი არ დაელოდა. მასთან დაახლოებული პირნი ამბობენ, რომ კომისია ცდილობს ლიბანის ომში წარუმატებლობა მთლიანად ხალუცს დააბრალონო. ამიტომ გაცლა ამჯობინა.

ადგილები შეცვალეს

არჩევნებიდან მხოლოდ ათი თვე გავიდა. „კადიმა“ პოპულარობას კარგავს, „ლიკუდი“ კი ღონეს იკრებს. არჩევნები დღეს რომ ტარდებოდეს, „ლიკუდი“ 29 მანდატს მოიპოვებდა, „კადიმა“ კი – 12-ს. ეს დაადასტურა სოციოლოგიური ინსტიტუტის – „დიალოგის“ გამოკითხვამ. წინა არჩევნებზე კი პირიქით იყო: კადიმამ ქნესეთში მიიღო 29 ადგილი, ლიკუდმა – 12. თუ ასე გაგრძელდა, კადიმა გაქრება ისრაელის პოლიტიკური რუქიდან. წინა გამოკითხვა ორი თვის წინ ჩატარდა. მას შემდეგ „კადიმამ“ ხუთი მანდატი „დაკარგა“. აქედან ოთხი მანდატი „ავოდას“ მიემატა.

ეჰუდ ოლმერტს დღეს მოსახლეობის 14% უჭერს მხარს (წინა გამოკით-ხვისას 20%), „ავოდას“ მეთაურს მოსახლეობის 10% მისცემდა ხმას.

კვლავინდებურად პოპულარულია საგარეო საქმეთა მინისტრი ციპი ლივნი (მოსახლეობის 51%), დღეს მთავრობის მეთაურის პოსტზე ციპი ლივნის სამჯერ მეტი ამომრჩეველი მისცემდა ხმას, ვიდრე ეჰუდ ოლმერტს.

აშშ-მ – „ჰიზბალა“ გადაარჩინა?

გერმანელი სპეცსამსახურების მონაცემებით (მათ კარგი კონტაქტები აქვთ ლიბანში), ამერიკელებმა აღკვეთეს ისრაელის საგარეო დაზვერვის ერთობ გაბედული ოპერაცია – ისრაელელებს დაგეგმილი ჰქონდათ შეიხ ნაიმ კასემის – „ჰიზბალაში“ მეორე კაცის მოტაცება. შეიხი საიდუმლო ვიზიტით იმყოფებოდა საუდის არაბეთში. ისრაელელებს შეიხის კერძო თვითმფრინავი უკან დაბრუნებისას უნდა გაეტაცნათ – ამისათვის „მოსადს“ გამზადებული ჰყავდა ოთხი თვითმფრინავი და გამტაცებელთა ჯგუფი.

„ჰიზბალა“ ირანის წაქეზებით საუდის არაბეთს მტრობს. ერ რიადში „ჰიზბალას“ მეორე პირი შეიხი ნაიმ კასემი მიწვეული ჰყავდათ მოლაპარაკებისათვის – ერ რიადს „ჰიზბალასთან“ დაპირისპირება არ აძლევს ხელს. ამერიკელებმა მიიჩნიეს, რომ შეიხის მოტაცება უფრო გაართულებდა საუდის არაბეთსა და „ჰიზბალას“ ურთიერთობას.ამიტომ“მოსადს“ სთხივეს ოპერაცია არ ჩაეტარებინა.

ისრაელელთა ხარჯები

საშუალო ებრაული ოჯახი თვეში 13,5 ათას შეკელს ხარჯავს

თითქმის შეუძლებელია 2006 წელს ისრაელისთვის წარმატებული წელი ეწოდოს, მაგრამ ყველა ცუდის მიუხედავად, ისრაელელებმა უფრო მეტის ხარჯვა მოახერხეს, ვიდრე წინა წლებში – ქვეყნის ცხოვრების დონე 2,8%-ით გაიზარდა.

როგორც news.ru.co.il აღნიშნავს ისრაელში ცხოვრების დონე უკვე რამდენიმე წელია იზრდება. ბოლოს სამი წლის მანძილზე 8,5%-ით გაიზარდა. 2006 წ. სტატისტიკურად საშუალო ისრაელურმა ოჯახმა 162 ათასი შეკელი დახარჯა, ანუ თვეში 13,5 ათასი შეკელი.

ისრაელელები ყველაზე მეტს – 5300 შეკელს თვეში ბაზობრივ მოთხოვნილებებში ხარჯავენ: საცხოვრებელი (2700 შეკელი), საკვები პროდუქტები (2600 შეკელი). თვეში 4500 შეკელი განათლების, ჯანმრთელობის კულტურული ღონისძიებების, სპორტის, გადასახადებისა და დაზღვევისათვის იხარჯება. ისრაელელები წელიწადში 11 ათას შეკელს ბენზინის, ელექტროენერგიისა და წყლისთვის ხარჯავენ, 8 ათასს ტანსაცმლისა და ფეხსაცმლისთვის, 3400 შეკელს ავეჯისთვის, 5200 – ელექტროსაქონლისთვის, 5800 შეკელი – ავტომობილის შესაძენად.

ისრაელელები კომპიუტერულ რევოლუციას ახდენენ

მას უკვე შეარქვეს კომპიუტერული ტექნოლოგიის „წმინდა გრაალი“ – იტყობინება mignews.com. საუბარია პროგრამულ უზრუნველყოფაზე, რომელიც ადამიანს საშუალებას მისცემს კომპიუტერს „ნორმალური ენით“ ესაუბროს. ზუსტად ისე, როგორც ადამიანები ესაუბრებიან ერთმანეთს.

ათ წელზე მეტია კომპიუტერის სპეციალისტები მთელ მსოფლიოში ამ მიზნისკენ მიილტვიან, მაგრამ ჯერ-ჯერობით უშედეგოდ. თუმცა, ამ დღეებში იერუსალიმის კომპანიამ – Linguistic Agents განაცხადა, რომ მათმა სპეციალისტებმა შექმნეს გამოყენებითი პროგრამა, რომელიც კომპიუტერებს საშუალებას მისცემს ადამიანური გამონათქვამები გაიგოს. ღირს კი იმის თქმა, რომ ამას კომპიუტერული სამყაროს ნამდვილი რევოლუციამდე მივყავართ?!

ისრაელელების მიერ დამუშავებული „ლინგვისტური მანქანის სრულყოფილების“ (ALM-Advanced Language Machine) – შემქმნელი და გენერალური მენეჯერი კომპანია სესონ მარგალიოტაა. 47 წლის მარგალიოტმა კალიფორნიის უნივერსიტეტში ლოს ანჯელესში ლინგვისტიკა, ხოლო ისრაელში კომპიუტერული საქმე შეისწავლა. მან რამდენიმე წელი დახარჯა სხვა კომპანიებისათვის პროგრამების დამუშავებაზე, მანამ სანამ მთელი ყურადღება არ მოიკრიბა მექანიზმზე, რომელსაც შეეძლო ზუსტად გაეშიფრა ადამიანის ფრაზები. მისი თქმით, დღევანდელი კომპიუტერული ლინგვისტიკა მიმართულია იქით, რომ გავიგოთ ცალკეული სიტყვების არსი. ფრაზებისა და წინადადების გაშიფვრის ცდაა.

Nano Syntax, 2004 წ. მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის ლინგვისტებმა სიტყვები დაშალეს, რათა გაერკვიათ მთელი წანადადების მიზანი. სწორედ ეს იდეა იყო ჩადებული ისრაელელური დამუშავების საფუძველში.

კომპანიამ Linguistiv Agents წარმატებით გამოიყენა პროგრამის უზრუნველყოფა, ცნობილი როგორც „ინტელექტუალური გუნდური მექანიზმი, საავტობუსო ინფორმაციისა და „ყვითელი ფურცლების“ გამოყენებისათვის, თუმცა, ისრაელური პროგრამა ჯერ კიდევ არაა გამოყენებული კომერციულ დონეზე.

ისრაელის საელჩოსთან არსებული
კულტურის ცენტრი

რა ხდება მსოფლიოს ებრაულ თემებში

მოსკოვი: გამოვიდა „ანტისემიტიზმის ხიბლი“

„ანტისემიტიზმის ხიბლი“. შარშან, წლის მიწურულს აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის გამომცემლობამ ამ სათაურით გამოსცა ფრანგი სოციოლოგის მიშელ ვევორკის რუსული თარგმანი.

როგორც AEH იტყობინება, წიგნს აქვს ქვესათაური „ებრაელების სიძულვილი დღევანდელ საფრანგეთში“.

„იქნება კი 21-ე საუკუნე საფრანგეთში ანტისემიტიზმის აღორძინების ეპოქა?“ – კითხულობს ავტორი. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ჟან პოლ სარტრი წერდა: „თუ ხოლოკოსტამდე ანტისემიტიზმი იყო დასაშვები პოლიტიკური ხედვა, დღეს, როდესაც უკვე ცნობილია ოსვენციმის შედეგები, ანტისემიტიზმი სისხლის სამართლის დანაშაულს უნდა მიეკუთვნებოდეს.

და მართლაც, ბოლო 10 წელია ხოლოკოსტი მსოფლიოს იცავს ანტისემიტიზმის რეციდივისაგან. თუმცა, თანაგრძნობის ატმოსფერო უკვე წარსულს ჩაბარდა – აღნიშნავს მკვლევარი. მატულობს ებრაელთა მიმართ ძალადობა, სინაგოგებზე თავდასხმები, ებრაულ სასაფლაოებზე ვანდალური ფაქტები. სულ უფრო ხშირად გაისმის ხოლოკოსტის უარყოფის მოწოდებები.

„ებრაელთა სადღეისო ყოფა გერმანიაში“

ასე ქვია გამოფენას, რომელიც ბერლინში გაიხსნა. ექსპოზიციები, რომლებიც ებრაულ მუზეუმშია წარმოდგენილი, არის კონსტანცისა და ბილეფელდის სტუდენტთა მიერ გადაღებული ფოტოები. მათზე აღბეჭდილია ებრაული ქორწილები, ებრაული საღამოები სტუდენტურ საერთო საცხოვრებელში, რაბინთა ცოლების ფოტოები, ებრაელ მოხუცთა თავშესაფრების მობინადრეები, ყოფილი საბჭოთა კავშირიდან ემიგრირებულ ებრაელთა ფოტოები. გამოფენის გახსნა გახდა „გერმანული ტალღის“ კორესპონდენტთან, შრომის ერთ-ერთი ავტორის საუბრის საბაბი. ეს კვლევა ასახავს ისრაელში, აშშ და გერმანიაში მცხოვრებ ებრაელების ყოფას.

ევროპის ქვეყნებს შორის გერმანია მესამე ადგილზეა ინგლისისა და საფრანგეთის შემდეგ, სადაც ყველაზე მეტი ებრაელი ცხოვრობს. გერმანიის ებრაული მოსახლეობის 80% ყოფილი საბჭოთა კავშირიდან გახლავთ ჩამოსული. მათი რაოდენობა დღეს 220 ათასს აღწევს. ამრიგად, გერმანია იქცა ისრაელის (მილიონზე ცოტა მეტი) და ამერიკის (350 ათასი) ყოფილი საბჭოთა კავშირიდან გამოსული ემიგრანტების საცხოვრებელ ადგილად.

მენდელსონის სახელობის პოსტდამის ცენტრის გამოკვლევების შედეგებზე ისაუბრა ნაშრომის ერთ-ერთმა ავტორმა ოლაფ გლენკერმა.

სამივე ქვეყანაში რუსულენოვან ებრაულ ემიგრანტებს აერთიანებთ დემოგრაფიული პროფილი, რამეთუ გერმანიაში ცოტათი უფრო მეტი ხანდაზმული ადამიანი ჩამოდის, ვიდრე ისრაელში – აღნიშნა მკვლევარმა. მაგრამ ძირითადად ეს სამი ჯგუფი პირველ რიგში პროფესიონალური სტრუქტურითა და უმაღლესი განათლებით არიან დაკავშირებულნი. ის, რაც მათ კარდინალურად განასხვავებს, არის ადგილობრივ შრომის ბაზარზე ინტეგრაციის დონე. ექსპერტთა მონაცემებით, ყოფილი საბჭოთა კავშირის ემიგრანტთა დაახლოებით 40% არ აქვს სამსახური. ისრაელში 10%, რაც დაახლოებით შეესატყვისება საერთო უმუშევართა დონეს ამ ქვეყნებში. ხოლო ამერიკაში რუსულენოვანი ებრაელები თითქმის ყველა დაკავებულია, მათ შორის უმუშევარი მხოლოდ 3%. ოლაფ გლენკერი თვლის, რომ ამ მდგომარეობას სუბიექტური და ობიექტური მიზეზები აქვს.

ბრანდერბურგი: ებრაული სასაფლაოები წაბილწულია

ბრანდერბურგში, გერმანიის აღმოსავლეთში უცნობმა ვანდალებმა წაბილწეს ებრაული სასაფლაოები. მათ სასაფლაოების კედლებს სვასტიკები დაახატეს.

ბრანდერბურგის პოლიცია ვანდალებს ეძებს. განიხილება მრავალი ვერსია, უბრალო ხულიგნობიდან მიზანმიმართულ ანტისემიტურ აქციებამდე, რაც უფრო შესაძლებელია. რადგან ბოლო პერიოდში ბრანდერბურგის სხვადასხვა ადგილას გამოჩნდა ნაცისტური სიმბოლოები და ანტისემიტური ლოზუნგები.

ვიტებსკი: იეჰუდ პენის ხსოვნა

მემორიალურ დაფაზე ამოტვიფრულია ბელორუსიულ ენაზე შესრულებული წარწერა: „მხატვარი, პედაგოგი ი.მ. პენი ცხოვრობდა და მუშაობდა 1897-1937 წწ სახლში, რომელიც ამ ადგილას იდგა.

იეჰუდ (იური) მოსეს-ძე პენი (1854-1937) მხატვარი, ფერმწერი და პედაგოგი XX საუკუნის პირველ მესამედში ბელორუსიის ხელოვნების „ებრაული რენესანსის“ ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა, გამოჩენილი მარკ შაგალის ერთ-ერთი აღმზრდელია. კომპოზიციას ამშვენებს ორი ჩახუტებული მტრედი, ისინი მემორიალურ დაფაზე წარწერის ზემოთ არიან განთავსებულნი. გვერდით ბარელიეფზე გამოსახულია თვითონ მხატვარი გრძელ ლაბადასა და შლიაპაში გამოწყობილი, ერთ ხელში პალიტრა უჭირავს.

ჩიკაგო: დახმარება ებრაული უპატრონო ბავშვების

საერთაშორისო საქველმოქმედო ორგანიზაციამ „იუდეველთა და ქრისტიანთა თანამეგობრობა“, რომლის ბაზაც ჩიკაგოშია, გაიღო 3 მლნ. დოლარი ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში მცხოვრები მზრუნველობამოკლებული ებრაელი ბავშვებისათვის.

ებრაული და საერთაშორისო ინსტიტუტების ცნობით, ყოფილ პოსტსაბჭოურ სივრცეში დაახლოებით 50 000 ებრაელი ბავშვი დარჩა მშობლის მზრუნველობას მოკლებული, რომლებიც დედის მზრუნველობას და ფსიქოლოგის დახმარებას საჭიროებენ. პრეზიდენტმა და ამ თანამეგობრობის ერთ-ერთმა დამაარსებელმა რაბინმა ექშტეინმა განაცხადა, რომ საზრები სურსათის, ტანსაცმლის ყიდვას და ებრაელი უპატრონო ბავშვთა სახლების შექმნას მოხმარდება.

ულიანოვსკი: ახალი თავდასხმა ებრაულ თემზე

ულიანოვსკის რეგიონალურ ებრაულ ნაციონალურ-კულტურულ ავტონომიას ანტისემიტები ისევ დაესხნენ თავს, ეს ამ კვირის განმავლობაში მეორე თავდასხმა გახლდათ.

ორმა 18-20 წლის ნასვამმა ახალგაზრდამ, შეაღწია ებრაული თემის შენობაში და გაჰყვიროდნენ: „გაეთრიეთ აქედან სანამ გვიანი არ არის, თორემ დაგჭრით!“ რის შემდეგაც ხულიგნებმა შუშა და სარკე ჩაამსხვრიეს.

ამჯერად მილიცია სწრაფად მოვიდა – შემთხვევის ადგილზე გაჩნდა 20 წუთში ულიანოვსკის ლენინის საგამოძიებო რაიონის შინაგან საქმეთა სამმართველოს ოპერატიული ჯგუფი და პირადად ულიანოვსკის ოლქის შს სამმართველოს უფროსი ვალუკინი.

ერთ-ერთი თავდამსხმელი 1988 წ. დაბადებული ლიტვინოვი დაკავებული იქნა, იგი ულიანოვსკის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი აღმოჩნდა. სასჯელის ზომა ჯერ დადგენილი არ არის.

ამჟამად ტარდება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები, რათა დადგინდეს თანამონაწილეთა ვინაობა, ასევე ლიტვინენკოს თანამონაწილეობა სხვა თავდასხმებში. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

როგორც ებრაული ამბების სააგენტო იტყობინება, 25 დეკემბერს დაუდგენელმა პირებმა მინის ბოთლით ჩაამსხვრიეს ებრაული თემის შენობის მეორე სართულის ფანჯარა. შემთხვევის ადგილზე გამოცხადდა საგამომძიებო-ოპერატიული ჯგუფი.

დათვალიერების შედეგად შენობაში შესასვლელთან მდებარე ხეზე, აღმოჩენილია დაკუჭული ფურცელი ჯვრის გამოსახულებით ანტისემიტური შინაარსის მქონე ბეჭდური ტექსტით: „ებრაელებს ვხოცავდით და დავხოცავთ“ სვასტიკა და დანა.

ვაშინდეჯა

25 იანვარს ისრაელის საელჩოში ისრაელის საელჩოსთან არსებულ კულტურული ცენტრის დირექტორს მერაბ დავარაშვილს გაცილება მოუწყეს.

მან და მისმა ოჯახმა საქართველოდან წასვლა – ისტორიულ სამშობლოში ასვლა გადაწყვიტა.

ისრაელის საელჩოში მის გასაცილებლად შეკრებილიყვნენ: ისრაელის საელჩოს, კულტურული ცენტრის, ებრაული სათემო სახლის, „ჯოინთის“ და სოხნუთის წარმომადგენლები.

ისრაელის ელჩმა საქართველოში ბ-ნმა **შაბთაი ცურმა** მადლობა მოახსენა სტუმრებს მობრძანებისთვის და აღნიშნა:

– მერაბის ამ გადაწყვეტილების შესახებ 2 დღის წინ შევიტყვე, იმდენად მოულოდნელი იყო ეს ჩემთვის, რომ უცებ ვერ გავაცნობიერე მისი გადაწყვეტილება. თქვენ აქ იმისთვის მოგიწვიეთ, რომ მერაბთან თანამშრომლობდით და ალბათ, ყველას გექნებათ მისთვის სათქმელი. მერაბი, ქართული ებრაული თემის მართლაც ერთ-ერთი წარჩინებული პიროვნებაა. სანდო, საქმიანი, პასუხისმგებლობის და დიდი ნიჭის მქონე ადამიანია. იგი ხელს უწყობდა ახალგაზრდების განათლებას და კულტურულ განვითარებას. გული მწყდება საქართველოდან რომ მიდის, მაგრამ ამავე დროს მიხარია, ჩვენს სამშობლოს კიდევ ერთი ლამაზი ოჯახი რომ შეემატება. გზას დაგილოცავ ჩემო მერაბ! მართალია, ალია ადვილი არ იქნება და იქ ყველაფრის თავიდან დაწყება მოგიწევს, მაგრამ შენ ის ადამიანი ხარ, რომელიც ყველა წინააღმდეგობას დაძლევს და ისევე წარმატებით გაიკვლევ გზას ისრაელში, როგორც ეს საქართველოში მოახერხე.

შაბთაი ცურმა მერაბ დავარაშვილს სუვენირები უსახსოვრა და შეკრებილთ სიტყვა გადასცა.

მერაბ დავარაშვილს გზა დაულოცეს: ისრაელის საელჩოს კონსულმა **დავით ბენიშმა,** საელჩოს პირველმა მდივანმა **მეირა საგიმ,** „ჯოინთის“ წარმომადგენელმა საქართველოსა და სომხეთში **სერგო ვლასოვმა,** საქართველოს მთავარი რაბინის მოვალეობის შემსრულებელმა **ავიმელეხ როზენბლატმა,** ებრაული სათემო სახლის პროგრამების კოორდინატორმა **ზაირა დავარაშვილმა** და სხვ.

მერაბ დავარაშვილმა თქვა:

– დღეს აქ, ამ დარბაზში ვხედავ ადამიანებს, რომლებთანაც დიდი ხნის ნაცნობობა, მეგობრობა და თანამშრომლობა მაკავშირებს და თითოეულთან კარგი დამოკიდებულება მაქვს. ბევრ ებრაულ ორგანიზაციასთან ვთანამშრომლობდი, მაგრამ ისრაელის საელჩოში გატარებული ორ წელიწადნახევარი ყველაზე ძვირფასი და დასამახსოვრებელი პერიოდია ჩემთვის. აქ გამორჩეულად თბილი ატმოსფეროა. არ ყოფილა შემთხვევა დახმარება მეთხოვა და ყველა არ დამდგომოდა გვერდში. დიდი მადლობა ყველას აქ მობრძანებისთვის და ასეთი თბილი სიტყვებისთვის, იმედს ვიტოვებ ჩვენ კიდევ ბევრჯერ შევხვდებით.

შეხვედრა სევდანარევი, მაგრამ ამავე დროს მხიარულიც იყო, ვინაიდან ისრაელს კიდევ ერთი ქართველი ებრაულის ოჯახი უბრუნდებოდა.

ნატო პაქსაშვილი

ჯაბალათ შაბათი

2 თებერვალს თბილისის ებრაულ სახლში ტრადიციად ქცეული კაბალათ შაბათი აღინიშნა. ებრაულმა სახლმა კაბალათ შაბათთან ერთად მოახლოებული ტუ-ბიშვატის დღესასწაულიც იზეიმა. ღონისძიებას ესწრებოდნენ ებრაელი სახლის თანამშრომლები, იერუსალიმის „ჯოინთის“ წარმომადგენელი ამიერკავკასიაში მაქს ვიზელი და „ჯოინთის“ წარმომადგენელი საქართველოსა და სომხეთში სერგო ვლასოვი.

შეკრებილთ მიესალმა ებრაული სახლის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე რეზო შათაშვილი, ებრაული სახლის კოორდინატორი ზაირა დავარაშვილი.

ტუ-ბიშვატის დღესასწაულზე და თორის კანონებზე ისაუბრეს კოენმა რაფიელ მესენგისერმა და საქართველოს მთავარი რაბინის მოვალეობის შემსრულებელმა ავიმელეხ როზენბლატმა.

ზაირა დავარაშვილმა შეკრებილთ ესაია წინასწარმეტყველის სიტყვები შეახსენა და დარბაზში კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდთან არსებული საბავშვო ჯგუფი „შალომ სეზამი“ მოიწვია. პატარებმა ებრაულად, ქართულად, რუსულად და ინგლისურად შეასრულეს სიმღერები და წაიკითხეს ლექსებით, ხოლო „ჰილელი თბილისის“ ახალგაზრდებმა ტუ-ბიშვატისადმი მიძღვნილი სიტყვები წარმოსთქვეს რის შემდეგაც ქ-ნმა ზაირამ პატარებს ტკბილეული დაურიგა.

„დღის ცენტრის“ დირექტორმა ლენა ხახმიგერმა საჩუქარი გადასცა ებრაულ სახლს, საკუთარი ნამუშევარი – პანოს მსგავსი ძველი თბილისის ხედი.

შაბათის სანთლები დაანთო პროგრამა „მაზალ-ტოვის“ დირექტორმა ეთერ მიხელაშვილმა.

საღამოს მუსიკალურად აფორმებდა მარიკა მირველაშვილი და ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი ჟანეტა შამილაძის ხელმძღვანელობით.

ნინო ლომია

დამფუძნებელნი და გამომცემელნი:

გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე

თბილისი, ლეონიძის 11ა, ვახტანგ VI ქ. №30

ტელეფონები: 99.90.96, 77.20.57

რეგისტრირებულია ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს მიერ.

რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი

გურამ ბათიაშვილი

הסוכנות היהודית לארץ ישראל
Jewish Agency for Israel